გ რ ა ფ ი ს ქ ა ლ ი. (წამოდგება თვალეგაბრწყინებული, ერი
კთან მივა. კოცნის შუბლზე და ორთავე ღაწვზე)

შენ კაცთა მოდგმის კათეხიზმო შეგითხზავს და იგი ყო
ველი სასახლის კედელს დაამშვენებდა.

(ალმაცერად გადახედავს გრაფს) მაშინ ცდომილებათა
გზა სამუდამოდ იქნებოდა დახშული. დიახ, შენ ნამდვი
ლი, ჰეშმარტი სტიერნენჰო ხარ!

ე რ ი კ ი. თქვენი ბრწყინვალეობა ჩემს მიმართ მეტიმეტ
გულმოწყალებას იჩენს!

გ რ ა ფ ი ს ქ ა ლ ი. ნება მომეცი დღესვე მოგილოცო
უმადლესი საჩუქარი, რაც ხვალ მინდოდა დაბადების
დღისთვის გაშლილ სუფრაზე მომერთმია — მეფე მოგო
ბმობს თავის დრაგუნთა შორის...

(გახხნის წერილს და გადასცემს ერიკს)

ე რ ი კ ი შეუძლებელია! (გახხნის, კითხულობს)

გ რ ა ფ ი. (მიუახლოვდება და წაიკითხავს)

შავით თეთრზე წერია! დამითმე ეს ქაღალდი, ხვალე მ
ბოლოდ!

გ რ ა ფ ი ს ქ ა ლ ი. (ერიკს) ხომ გაგახარე?

გრაფი. თქვენმა ბრწყინვალეობამ... !
გრაფის ქალი. იუტა უწოდე შენს ხანდაზმულ პაპიდამ
და პირზე აკოცე!

გრაფი. (ემორჩილება).
(შემოდან ჩამოდის მისს გროუვი საათით ხელში; გრაფის ქალს და ერიკს რომ შეხედავს, შუა კიბეზე გაშეშდება).

გრაფის ქალი. (შეამჩნევს მას) დიახ, მისს გროუვ, ჩვენ შერიგებას ვზეიმობთ! მაცხოვარმა მეტი წყალობა მოგვავგო ორთავეს, ვიდრე მოველოდი.

(ხელს გაუწვდის გრაფს)
გრაფი. (პკოცნის) ბარაქის ქალთა დაიბერტყე შენ ნამდვილად!

გრაფის ქალი. ნურც მოგკლებოდეს ჩემი ლოცვა-კურთხევა. მოვდივარ, მისს გროუვ. არ გაგვიჯავრდეთ — ბიბლიამ ორიათასი წელი გაძლო და თხუთმეტ წუთს თუ დავუგვიანებთ წაკითხვას, არაფერი დაშავდება! ხელი მომეცი, ჭეიმს, ახლა საგანგებოდ შევარჩიოთ დღეს წასაკითხი თავი: ძე შეცთომილი და შემდგომ ამის — მონანიე.

(გრაფის მკლავზე დაყრდნობილი ქალი აუყვება კიბეს, მისს გროუვის თანხლებით. დანარჩენი სამნი გადიან) მინის კარის მიღმა გამოჩნდება ალისა. ფრთხილად შემოიხედავს. მერე შემოდის)

ალისა. როდის განაგრძობთ სროლას?

გრაფი. როგორ დამავიწყდა ნებართვა მეტხოვა მამისათვის. ახლავე ვკითხავ. (გასწევს კარისაკენ)

ალისა. ეს ესაა მამაჩემს ჩაუძინა. პირველსავე გასროლის ხმაზე ალბათ ტახტიდან გადმოვარდება!

გრაფი. ჰო, მაშინ ცოტა შევიცადოთ.

ალისა. (მამაპაპურ სკამზე ჩამოჯდება). ყველაფერს მამიკოსს ეკითხებით ხოლმე?

გრაფი. რასა?

ალისა. სუნთქვის ნებართვას, ჭამის ნებას და ასე შემდეგ!

გრაფი. მან ერთი რამ ამიკრძალა, რაც ჭერ ისევ ძალაში რჩება!

აღი ს ა. იმედია ჩემს წასვლამდე გაახსენდება...

ერ ი კ ი. რა ხანია სიტყვა მივეცი.

აღი ს ა. თორემ ყელში არ გაგეჩხიროთ საიდუმლო, მიზანში ექვსი ტყვიის მორტყმის შემდეგ რომ უნდა გაგეზილათ ჩემთვის.

ერ ი კ ი. აკი ზედიზედ მოვახვედრე მიზანში ხუთივე ტყვია!

აღი ს ა. გულკეთილი ვარ და მეექვსეს საჩუქრად მოგცემთ, აბა რას მეტყვით?

ერ ი კ ი. (კრძალვით ჩაიციინებს)

აღი ს ა. იქნებ ხუმრობდით?

ერ ი კ ი. თუკი ერთს ვისმე გაეცინა, ეს თქვენ იქნებით!

აღი ს ა. ხუმრობაზე უნდა ვიციინოთ!

ერ ი კ ი. ხედავთ, ხუმრობად მიიღეთ უკვე!

აღი ს ა. ჯერ ხომ არ ვიცი, რა ხუმრობაა!

ერ ი კ ი. ოღონდ სერიოზულად მომისმინეთ!

აღი ს ა. დიახ, მომაკვდინებელი სიდინჯით!

ერ ი კ ი. არც ასე მინდა!

აღი ს ა. მაშინ მოდი, შუაზე გავყოთ. — ნახევარი ჭმუნვა და ნახევარი მხიარულება იყოს.

ერ ი კ ი. ჰო, თვითეულ ჩვენგანს თავისი ნახევარი, თანაც ტოლ-ტოლი და თანხვდომილი: ჩემი მხიარული ნახევარი — ფარდი თქვენი მხიარულისა...

აღი ს ა. და ჭმუნვა ჩემი იყოს დარი თქვენი დარდისა. მორჩა და გათავდა!

ერ ი კ ი. (ხელს მოჰკიდებს) ბარონესა აღისა...

აღი ს ა. (თვალდაჭყეტილი შეხედავს) — გრაფო ერიკ?

ერ ი კ ი. როცა ასე მომჩერებიხართ...

აღი ს ა. (ისევ ისე განაგრძობს მზერას) რად არ დამიშლით?

ერ ი კ ი. ექვსი ტყვიის ერთმანეთში ჩასმით მსურდა მხნეობა მომეკრიბა...

აღი ს ა. ვერ მოგართვეს მეექვსე ტყვია!

ერ ი კ ი. იმასაც მოვართყამდი ნიშანში!

აღი ს ა. ტყვიამ თავისი გზა იპოვა.

ერ ი კ ი. თოფის ლულაში?

აღი ს ა. არა ჩემს გულში!

ერ ი კ ი. (თავს დახცქერის)

ისა. (ნელა გაუწვდის ორთავე ხელს)

ერიკი. (მისკენ დაიხრება)

ისა. (ვაუს ჩაიხუტებს)

ერიკი. (უსიტყვოდ ჰკოცნის).

(თითქმის ერთდროულად შემოდინან მინის ზემოთა კარით გრაფი, ქვემოდან — ბარონი ბარენკრონა).

ბარონი. (უყურებს, როგორ ჰკოცნის წყვილი ერთმანეთს)
(გრაფიც აგრეთვე)

ბარონი. (ჩაახველებს)

გრაფი. (ჩაახველებს)

ბარონი. (უმატებს ხველას)

გრაფი. (უმატებს ხველას)

(ალისა და ერიკი გამოფხიზლდებიან).

ისა. (მიეჭრება ბარონს და ჩაეხუტება) მამიკო!

ერიკი. (მიეჭრება და ჩაეხუტება გრაფს) მამიკო!

(ბარონი და გრაფი ერთმანეთს შესცქერიან 'შვილების თავთა ზემოთ')

გრაფი. (ღიმილით) ბარონო, მოწმენი ვართ მომხდარი ფაქტის!

ბარონი. (დინჯად) პავლიონში დამელოდე, ალისა, ჩემო კარგო.

გრაფი. ჩემს ოთახში, ერიკ.

(ალისა გადის მინის კარით, ერიკი — მარჯვნივ).

(ბარონი მიდის სავარძელთან და შესცქერის გრაფს, თითქოს ჩადაცას ეკითხებაო. გრაფი ხელით ანიშნებს, დაბრძანდიო; ორთავენი დასხდებიან).

ბარონი. როდი უარვყოფ, რომ დინებას მივანდე ყოველივე, არა და ჯერ ხომ უნდა დაგვედგინა, მოეწონებოდათ თუ არა ახალგაზრდებს ერთმანეთი.

გრაფი. და სწორედ ახლა თვალით ნაწახმა გაგვიქარწყლა ყოველი ეჭვი!

ბარონი. იმათ უკვე გადაუწყვეტიათ.

გრაფი. ფრთხილად სარწმუნო საბუთია!

ბარონი. კი, მაგრამ დავრთავ თუ არა ჩემს ქალიშვილს ამის წებას...

გრაფი. თავი განებოთ მიკიბ-მოკიბულს!

ბ ა რ ო ნ ი. მაშინ გარკვევით გეტყვით. ერიკას, როგორც პი-
როვნების წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვი, სამაგალითო
ყმაწვილკაცია, კეთილად ზრდილი, უკეთეს ვაჟს ვერც
ვისურვებდით.

გ რ ა ფ ი. კომპლიმენტია ერიკისათვის!

ბ ა რ ო ნ ი. აზნაურ დედის ნაშიერი რომ ყოფილიყო. ჰო,
მაგრამ ასეა, განა! თქვენ ნება დამართეთ გარკვევით მე-
თქვა ჩემი აზრი; იქნებ ცოტა გადავაჭარბე?

გ რ ა ფ ი. კი, ბატონო, დედის მხრივ იგი უაზნოა!

ბ ა რ ო ნ ი. აქეთ ნახევრად კეთილშობილი კაცი და, მეორე
მხრივ, ბარონესა ბარენკრონა. გენეალოგიის ლექცია
რომ არ წაგიკითხოთ, ისედაც იცით, ვინ არიან ბარენ-
კრონები. ფეოდალი დიდებულები, შეუბღალავნი, უნაყ-
ლონი, სახელგანთქმულნი, მამულთ მფლობელნი. წარ-
მომავლობას ერთი გოჯითაც არ გადამცდარან!

გ რ ა ფ ი. უზღვავემა სიმდიდრემ გაუადვილა ბარენკრონებს
ამდაგვარი განუხრელობა!

ბ ა რ ო ნ ი. უამისოდაც არ შეცდებოდნენ, ძლიერი სისხლი
წყალწყალაში არ შეერევა!

გ რ ა ფ ი. თქვენი საყვედურები დღესდღეობით ჩემთვის, ცო-
ტა არ იყოს, ნაგვიანევი.

ბ ა რ ო ნ ი. ბოდიში, მაგრამ მათქმევინეთ.

გ რ ა ფ ი. ნურათრისა გერიდებათ!

ბ ა რ ო ნ ი. მიძნელდება დავყაბულდე სტიერნენჰოთა და ბა-
რენკრონების გვართა დამოყვრებას. თუმცა შვილების
ნება ანგარიშგასაწევია.

გ რ ა ფ ი. ჩავთვალთ, ვითომც არაფერი მომხდარა.

ბ ა რ ო ნ ი. გაბედული ბრძანდებით, გრაფო, ჰკარგავთ
ბრწყინვალე შესაძლებლობას!

გ რ ა ფ ი. უფრო გაბედული მაშინ ვიყავი, როცა არად ჩა-
ვადე სასამართლოს გადაწყვეტილება და დედას თვალსა
და ხელს შუა გამოვტაცე პატარა ერიკი!

ბ ა რ ო ნ ი. განა ამან წაგვიშალა წარმომავლობა?

გ რ ა ფ ი. ნიშანწყალიც აღარ დატოვა, ბარონო!

ბ ა რ ო ნ ი. ყმაწვილკაცი მომწონს, მაგრამ რა ვქნა, არ დაგი-

ფარავთ: ჩემი აღისას სიყვარული მიძნელებს განსჯან,
ვისთვის ყოველი სიკეთე მინდა!

ფ.ი. მაშინ მივმართოთ ნეიტრალური კაცის განაჩენს,
კეთევანობით მაძიდაჩემს, გრაფ სტიერნენჰოს ასულს!
მ.ი. მართლაც მეტისმეტია ეგ სითამამე, ის ქალი ხომ
დღესიხებელი მტერია თქვენი და ფეხსაც არ მოადგამს
სტიერნენჰოს სასახლეში!

ფ.ი. ვოადის კეთილშობილი ასული ერთი საათის წინ
შეპოახნდა და თავის ითახში უსმენს ახლა ბიბლიის
კითხვას!

მ.ი. სავიწმინდეში ნუ ჩამაგდებთ, ჩემო გრაფო! რას
თუღობაქცობთ, თქვენი ბედი სისწორზეა შეგდებული
კეთევანის დაზოგავთ აღბათ. ეტყობა, ფული ისევ
კეთევანად, ჩემი ქონება კი ერთიანად აღისას ხელ-
ში გადადის, ჰოდა იგი თქვენივეს იქნება ხავსი, რასაც
უკნა... (უკანა კარიდან შემოდის ლაქია ყვავილების თა-
იგულით).

ფ.ი. ვისთვის მივაქვთ ყვითელი მიხაკები?

მ.ი. მის ბრწყინვალეებას, ქალბატონ სტიერნენჰოს უნ-
და მივართვა.

(აივლის კიბეს და გადის)

ფ.ი. ერიკის დაბადების ოცდამეერთე წლისთავს გვეს-
ტუმრა!

მ.ი. თუ გაბატიათ?

ფ.ი. ერიკის წყალობით; სულ ათი წუთი ესაუბრა და
პაპილამ ქებით ცაში აიყვანა ყმაწვილკაცი!

მ.ი. ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქე. პირველ კბო-
დეს სვებედნერად შემოვუარეთ. ეს შინაური გასხვოქი-
ლება რომ არ ჩაგეცხროთ, ჩვენი შვილების სიყვარულის
გემი ზედ უთუოდ დაიმსხვრეოდა.

ფ.ი. მეორე კბოდე?

მ.ი. მალალი საზოგადოების კეთილგანწყობაა ჩვენი
იქ გამოჩენის უამს. მაპატიეთ, გრაფო, მაგრამ თქვენ ეს
საზოგადოება შეურაცხჰყავით. და აღარც უნდა გაგიკ-
ვირდეთ, თქვენგან შორს თუ უჭირავთ თავი. გრაფ
ერიკს მეფის კარზე მოწყალების იმედი აღარ უნდა ჰქონ-

დეს, თუკი საერთოდ მიაღგმევინეს კიდეც იქ ფეხი. არ
მინდა თავი მოეჭრას ჩემს ქალიშვილს, კეთილშობილ
ბარონესა ბარენკრონას, პატივს შეჩვეულს და ესოდენ
განებივრებულს!

გ რ ა ფ ი. კვერს გიკრავთ, ბარონო ბარენკრონა!

ბ ა რ ო ნ ი. (წამოდგება) მაშინ ჩვენი მოლაპარაკება დამთავ-
რებული ყოფილა.

გ რ ა ფ ი. დამთავრებული მხოლოდ ამჯერად, რათა შემდგომ
მეფის დრაგუნთა ლეიტენანტ ერიკის მიერ იქნეს გან-
გრძობილი!

ბ ა რ ო ნ ი. ურიგო ხუმრობა როდია, მაგრამ...

გ რ ა ფ ი. მეფის დასტურით აღწევებული ღირსია თქვენგნით
პატივისცემის! (სიგელს გადასცემს)

ბ ა რ ო ნ ი. (კითხულობს სიგელს და მის კილოში თანდათან
მატულობს დარბაისლური ტონალობა).

თქვენგან მოსმენილ ჩემს გაკილვას შეურაცხყოფად თუ
მიიღებს გრაფი ერიკ სტიერნენჰო, პატივად ჩავთვლი
სატისფაქციას მისი მოთხოვნის!

გ რ ა ფ ი. (ხელს მოუთათუნებს მხარზე)

მოდო, ჩხუბი შვილებს ვაცადოთ, რაკილა ვნახეთ, რო-
გორ უყვართ ერთმანეთი.

ბ ა რ ო ნ ი. სიტყვას გაძლევთ!

გ რ ა ფ ი. ერიკს შევატყობინებ!

ბ ა რ ო ნ ი. მე ალისას გამოვუშვებ მასთან!

(გადის უკანა კარით)

მარცხნიდან შემოდის ლაქია, მიეახლება გრაფს და ჩუ-
მად ეტყვის რაღაცას)

გ რ ა ფ ი. დაიცადოს!

ლ ა ქ ი ა. (შემცბარი) თუ მიიღებს ბატონი გრაფი?

გ რ ა ფ ი. რა თქმა უნდა! ერთი სიგარა მომართვით!

ლ ა ქ ი ა. (მარცხენა კარში გადის)

გ რ ა ფ ი. (გააღებს მარჯვენა კარს) შემოდო, ერიკ.
(ერიკი შემოდის)

გ რ ა ფ ი. (ერიკს სავარძელზე მიუთითებს და თავადაც დაქ-
დება)

... ალისას შეირთავ ცოლად — ეს საქმე მოვაგვარე.

- ერიკი. (გაოცებით) შენ?
- გრეგორი. გიკვირს?
- ერიკი. მე ხომ აღისა მიყვარს!
- გრეგორი. სრული უფლება გქონდა და კიდევაც შეისრულე წაღილი!
- ერიკი. არ მესმის, მამა!
- გრეგორი. საჭირო იყო წარგვეხოცა უთანაბრობა ბარენკრონას მოდგმასა და შენს წარმომავლობას შორის.
- ერიკი. ეს რას ნიშნავს?
- გრეგორი. გარკვეული მოსაზრებანი...
- ერიკი. რას ამბობ, მამა?
- გრეგორი. ბარონი რომ შეაეჭვა...
- ერიკი. (წამოხტება) სად არის ბარონი? მან ჩემს წინაშე დაუყოვნებლივ...
- გრეგორი. დაჯექი! ის ეჭვი საფუძველს მოკლებული როდია, თანაც შემდეგ თავისი სიტყვა უკან წაიღო.
- ერიკი. ისევ საჩოთირო საქმე!
- გრეგორი. ერთხელაც იყო უნდა მეთქვა და სამუდამოდ მომელო ბოლო!
- მამის მხრიდან შენ სტიერნენჰო ხარ.
- ერიკი. დედაჩემი?!
- გრეგორი. ბურჟუაა!
- ერიკი. მამა!
- გრეგორი. სიამოვნებით გავატანდი დავიწყებას...
- ერიკი. (ხელებში ჩარგავს თავს, ქვითინებს და მთელი სხეული უცახცახებს)
- გრეგორი. ვინც იყო, იყო, დღეს შენთვის რაღა ბედენაა და მეც აქამდე ვერაფერმა დამაცდენინა.
- ერიკი. მკვდარია?
- გრეგორი. ჩემთვის — ოცი წელიწადია. შენ მხოლოდ ერთი წელიწადი დაჰყავი მასთან, ხოლო ჩემთან ყოფნის შემდეგმა ოცმა კვალიც წაშალა მასთან შეხების. ამას გიმტკიცებს ქორწინების ნებართვა და მეფის სიგელი!
- ერიკი. მამა... შენ... გაუგებარია!..
- გრეგორი. უფულობამ იცის, ერიკ! სიცოცხლე მიხაროდა, მაგრამ ვალეები მაწუხებდა და ამ სიხარულს ჩრდილს

აყენებდა. ფულის შოვნა იყო საჭირო, თორემ სტერ-
ნენჰოსს სასახლე თავზე დამეჭვებოდა. დანგრევის ნაც-
ვლად, ხედავ, აღვადგინე და შევძელ წოდების შესაფე-
რად აღმეზარდე!

ერეკი. რა თანხებით!..

გრეფი. შენივე ფულით, ერეკ! — პაპაშენმა მხოლოდ და
მხოლოდ შენთვის იზრუნა!

ერეკი. ნუ მეუბნები, პაპაშენმაო!

გრეფი. დღეს შენთან ვზივარ, ვით შენი მევალე და გას-
ტუმრების თავი არა მაქვს!

ერეკი. მამა, შენ იმ ფულიდან ჩემი არაფერი გმართებს.

გრეფი. უკანასკნელ გროშამდე შემომეხარჯა!

ერეკი. მაშ, მადლობას გიძღვნი, რომ ფული გაანიავე, თო-
რემ გარჯა დამჭირდებოდა, რომ ხელი მეტაცა და ფან-
ჯარაში გადამეყარა.

გრეფი. გაინტერესებს, როგორ შევძელ წინასწარ დამეხარ-
ჯა კაპიტალი, შენს მფლობელობაში ხვალ რომ გადმოვა?

ერეკი. (ახლა კი წამოდგება) მე კვლავ გჭირდება?

გრეფი. ერთი, ამ საბუთს მოაწერე ხელი, დამიდასტურე,
რომ უარს ამბობ პაპისეულ მემკვიდრეობაზე.
(ჩიბიდან ქალაქს ამოიღებს და მუდმივ კალამს მიაწ-
ვლის)

ერეკი. (ხელს მოაწერს) პირველი და უკანასკნელი კონტაქ-
ტი იმათ მოდგმასთან! (კარს გაივლის და გაიქცევა).

გრეფი. (დაკეცავს დ ჩიბეში ჩაიდებს ქალაქს, დარეკავს)
(ლაქია ხელით ანიშნებს, შემოუშვებს ბატონ ლინდს-
ტრემს, თვითონ კი გადის).

გრეფი. დღეს მოხვედით? თამასუქის განაღდების ვადა ხომ
ხვალ არის!

ლინდსტრემი. ამოდენა კარმიდამოა და მინდოდა დაე-
რწმუნებულიყავ...:

გრეფი. რამდენად შეფასდება მთელი ეს ავლადილება?

ლინდსტრემი. თქვენი ბატონი ვაჟიშვილის მთელი სამ-
კვიდრო!

გრეფი. მინიმუმი დაამრგვალებთ თუ მაქსიმუმი?

ნდსტრემი. ამ თანხისათვის სრული პროცენტი რომ
დამერიცხა...

აფი. შე უღვთო მევახშევ, შენა!

ნდსტრემი. რისკი გავწიე!

აფი. ოცი წელი როგორ გასძელი?

ნდსტრემი. დავჩაჩანაკდი და ესაა.

აფი. ყოველმა კაცმა უნდა იზრუნოს თავის ცხოვრების
მიმწუხრისათვის!

ნდსტრემი. მაშინ იყო შევუდექი საქმეს და მოგეცით
პირველი სესხი.

აფი. ახლა რა ვქნა?

ნდსტრემი. შემდეგ ველარ მოვისვენე, ვიდრე სამ-
კვიდროს უკანასკნელ ნაშთსაც ვახში არ დავადე!

აფი. ერთ რამედ გიღირთ ალბათ იმის შეგნება, რომ
ერთგულად მემსახურეთ და პროცენტებს მაძლევდით,
არა?

ნდსტრემი. ხვალ რა მოხდება?

აფი. არაფერი.

ნდსტრემი. რატომ?..

აფი. რამეთუ საქმეს დღესვე მოვაგვარებ!
(აწვდის ქაღალდს)

ნდსტრემი. (კითხულობს, ბედნიერებისაგან კუთავს),
გრაფი ერიკი — დიდებულია!

აფი. დიდებული იქნება, თქვენი პირით თუ დაუდასტუ-
რებთ ამას! დარჩით და ხვალ ერთი კარგა გამოტყვერით!

ნდსტრემი. შამპანური! გრაფი ერიკის სადღეგრძე-
ლოდ!

აფი. და მისი საცოლის, ბარონესა ალისა ბარენკრონასი!

ნდსტრემი. შვედი კრეზის ქალიშვილისა?

აფი. ნამდვილად!

ნდსტრემი. ბე თუ გნებავთ?

აფი. გმადლობთ, ახლა მეორედ მოსვლამდე აღარაფერი
გვიჭირს!

(ლინდსტრემს ხელით უბიძგებს გარეთკენ. ლინდსტრემი
მიდის. ზემოდან ჩამოდის გრაფის ქალი, ერთობ აღელ-
ვებული).

კრებული

გრაფის ქალი. ჯეიმს, ჯეიმს! შეხედე, ეს ხომ ალბანია!
ეს კი ერიკია! ეს ბარონი ბარენკრონაა! ამაზე უფრო სი-
ჩოთირო რაღა იქნება, ქალ-ვაჟი ერთმანეთისთვის ბე-
ლის გადაშლას ლამობს, მამა კი თავს წასდგომია მუ-
მოწონების ნიშნად...

გრაფი. შენც ხომ აღარ მორიდებიხარ...

გრაფის ქალი. რა უნდა მექნა?

გრაფი. (მინის კართან მივა და გარეთ გასძახებს)

იუტა მამიდა სთხოვს დანიშნულებს და მძახლებს, მოხ-
რძანდნენ! (ზემოდან ნელი ნაბიჯით ჩამოდის მისს გრო-
უვი).

გრაფის ქალი. მისს გროუვ, ახლა ამიხდა! სტიერნენსთან
მამულში გამომგზავრების წინა ღამეს სიზმრად ვიხილე
წყვილი ქედანი! თქვენ კი დამცინეთ!

(ბარონი შემოდის, მას მოჰყვებიან ალისა და ერიკი. ბა-
რონი მიეჭრება მოხუც გრაფის ქალს და ხელზე ეამბო-
რება.)

გრაფის ქალი. რომელმა ვარსკვლავმა შეგვახვედრა ერთ-
მანეთს, ძვირფასო ბარონო!

ბარონი. ბედმა ერთმანეთს დაუკავშირა ორი ნორჩი ვარ-
სკვლავი!

გრაფის ქალი. (მიმართავს მისს გროუვს)

პოეტურია, არა, მისს გროუვ?

(ბარონს მისს გროუვს წარუდგენს)

ეს მისს გროუვია, ჩემი ბიბლიის წამკითხველი!

ალისა. (ხელზე ჰკოცნის მოხუც გრაფის ქალს)

თქვენო ბრწყინვალე ბავ!

გრაფის ქალი. თქვენი წილხვედრი რაინდია კომ ილ ფო-
(ერიკს) ხოლო შენ ბედნიერებას ორთავე ხელით ჩაეჭო-
დები, ეჭვი არ მეპარება! აკოცეთ ერთმანეთს იუტა მამი-
დას თვალწინ.

(ალისა და ერიკი ერთმანეთს ჰკოცნიან).

გრაფის ქალი. ბარონო, მოდიტ ღირსსარწმუნო ვაჟით
სახლთა ჩვენთა დაკავშირება!

გრაფი. (ხმადაბლა მიმართავს გრაფის ქალს) ესლა მე უნდა
მისს გროუვს ვაკოცო, ხახამშრალი რომ არ დავრჩე!

ქალის ქალი. ლოყაზე ხელს მოუთათუნებს) შენ ეს ზე-
მის ხუმრობა საქმედ მიგაჩნია. აცადეთ ჭეიშს, ერთი ნე-
ბასად გაიხაროს!
(სავარძელში მოიკალათებს) მომწონს ჩვენი ნამოქმედა-

რი.
ერთ ღერბის ქვეშ სტერნენჰონი და ბარენკრონები!
(ჭეიშს გადახედავს აღმაცერად)
სამისთა გარანტია, რომ ღმერთი გვაშორებს ცდომილე-
ბათ.

(ერიკს გადახედავს)
ჩვენ. საკუთარ ლოყებში დავანებულ ჭეშმარიტ გვარებს,
ამიერიდან შეერთაბულთ!
(მარცხენა კარიდან ლაქია შემოდის და გრაფს სავიზიტო
ბარათს მიართმევს)

გრაფი. (გამოართმევს, წაიკითხავს — აიხედავს, ისევ კი-
თხულობს. მერე იტყვის) კარინ ბრატნი!
(ბარონი და გრაფის ქალი ერთმანეთს შეაცქერდებიან)

ერიკი. ვინ არის კარინ ბრატნი?
გრაფის ქალი. გირჩევთ სუფთა ჰაერზე გავიდეთ, პარკ-
ნი. ამასობაში ჭეიშსი აქ საბოლოოდ გაწმენდს ჰაერს!
(ბარონის მკლავზე დაყრდნობილი, ერიკსა და ალისას
წინ გაუშვებს. ყველანი უკანა კარიდან გადიან).

გრაფი. (ჩუმად ანიშნებს ლაქიას, შემოუშვიო)
(ლაქია გადის)
(შენოდის კარინ ბრატნი. ოცი წელი მომატებია, მაგრამ
ნაკლებადია შეცვლილი).

ბრატნი. დიდი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახვს.
გრაფი. არ შეგულება რამ საერთო, რომ ამართლებდეს ამ
სიტყვას: „ჩვენ“.

ბრატნი. უბრალოდ რამ არსებობს, რასაც ვერაფერი წაშლის.
გრაფი. რას გულისხმობთ?
ბრატნი. შვილს, ბატონო.

გრაფი. ერიკს დაბადების დღისთვის მოხვედით?
ბრატნი. ერიკი ხვალ ოცდაერთი წლისა გახდება.
გრაფი. საოცარია, რომ არ დაგვწყენიათ!

ბრატნი. მე ამას მიწყევ. თვალნათლივ მახსენებდნენ!

გ რ ა ფ ი. იმედი გაქვთ ამ დღისა?

კ ა რ ი ნ ი. თავად არ ვიცი!

გ რ ა ფ ი. მაშ მე აგაცდენთ ამო გარჯას: კარინ ბრატს სტი-
ერნენჰოს სასახლეში არაფერი დარჩენია!

კ ა რ ი ნ ი. არც ერიკ ბრატის მემკვიდრეობა?

გ რ ა ფ ი. ამ ქვეყნად არის მხოლოდ ერთი გრაფი ერიკ სტი-
ერნენჰო, რომელიც ხვალ სრულწლოვანი გახდება და
როგორც მოეპრიანება, ისე განაგებს ყოველივეს!

კ ა რ ი ნ ი. მთლად აუბნიეთ საწყალ ბიჭს თავგზა?

გ რ ა ფ ი. გრაფი ერიკ სტიერნენჰო ვერ მოითმენს უდიერად
მოხსენიებას!

კ ა რ ი ნ ი. ძალიან თავგამოდებული კი ბრძანდებით სხვათა
შვილებისათვის!

გ რ ა ფ ი. აკი წაგერთვათ ნება ბავშვის დედად იწოდებოდეთ.

კ ა რ ი ნ ი. როდის მქონია პრეტენზია?

გ რ ა ფ ი. როცა სასამართლოში ჩიოდით!

კ ა რ ი ნ ი. არასოდეს!

გ რ ა ფ ი. რა უმოწყალო სიცრუეს ამბობთ!

კ ა რ ი ნ ი. მინდა თვალები აგიხილოთ, გრაფო სტიერნენჰო.
დრო აღარ ითმენს, უბედურება უნდა აგარიდოთ. თო-
რემ ყმაწვილი გზას ველარ იბოვნის უკან დასაბრუნებლად!

გ რ ა ფ ი. თქვენკენ?

კ ა რ ი ნ ი. დედამისისკენ!

(მარცხნიდან შემოდის ერიკ ბრატი, ერთიანად ტყავის
სამოსში გამოწყობილი. ტანმალაღი, ამერიკული ნირის ახალ-
გაზრდა კაცი).

ე რ ი კ ბ რ ა ტ ი. ჩანთა ავტომანქანაში დაგრჩენია, თუმც ამ-
ბობდი, დიდად მიღირსო!

კ ა რ ი ნ ი. დიახ, შიგ საბუთებია, გმადლობ.

ე რ ი კ ბ რ ა ტ ი. (ახლადა შენიშნავს გრაფს) ვინ არის?

გ რ ა ფ ი. (სიბრაზისაგან წამოწითლდება. კარინს მიმართავს)
უარს ვამბობ თქვენი შოფრის ნაცნობობაზე, ვისაც ინე-
ბეთ და შენობით მიმართეთ, ქალბატონო ბრატ!

(მინის კარიდან გავა სირბილით)

(ერიკ ბრატი ღიმილით შესცქერის კარინს, თითქოს რა-
ღაცას ეკითხებაო).

მეორე მოქმედება

იხილეთ დარბაზი. კარინი და ერიკ ბრათი ხავარძლებში სხედან; ორივეს ახურავს ქული და აცვია ლაბადა. ერიკ ბრათი მოიხდის ტყავის ქუდს და ხელში ატამაშებს, კარინი თავდახრილია.

ერიკ ბრათი. (მცირე პაუზის შემდეგ) რას ველოდებით, ჰენრი?

ჰენრი. მოგონებები მომეძალა, ერიკ.

ერიკ ბრათი. კანზასისა?

ჰენრი. აოა, აქაური!

ერიკ ბრათი. აღრეც ყოფილხარ აქ, ამ ილუსტრირებული წიგნებიდან ამოხატულ სასახლეში?

ჰენრი. შენთან ერთად, ერიკ!

ერიკ ბრათი. რაო?

ჰენრი. იყო და არა იყო რა, — ასე უნდა დაიწყოს ყოველი აქაური ამბავი.

ერიკ ბრათი. რომანტიკული ისტორიაა?

ჰენრი. ბიძა კნუტის სახელდება უფრო ძარღვიანია: — ბუნდვარული ამბავია.

ერიკ ბრათი. ამოთქვი, დედა!

ჰენრი. შენი ცხოვრების პირველი კვირეები აქ გაატარე.

ერიკ ბრათი. სადა?

ჰენრი. აქა!

ერიკ ბრათი. პროტესტს ვაცხადებ პოსტ ფაქტუმ!

ჰენრი. მაშინ პატარა იყავი და შენს მაგივრად მე ავმხედ-
რდი!

ერიკ ბრათი. ენერგიულად?

ჰენრი. ხელი დავავლე და უკუნ ღამეში გაგიტაცე, მამან მოგაშორე!

ერიკ ბრათი. შეჩერდი, დედა!

ჰენრი. ახლა მაინც მკითხე, ვინ იყო შენი მამა და მეც პარდაპირ და გარკვეულად პასუხს მოგაგებ!

ერიკ ბრათი. აბა რაში მაინტერესებს!

ჰენრი. თანაგრძნობა არასდროს დაშიძალეზია.

ერიკ ბრათი. ბიძა კნუტის სიკეთეს ვჯერდებოდით.

ქარინი. მაგრამ დღეს სწვისი გულისთვის უნდა გამოიჩინო
ცნობისწადილი!

ერიკ ბრატი. (კომიკური სერიოზულობით) ვინ არის მამაჩემი?

სად არის მამაჩემი? როგორია მამაჩემი?

ქარინი. მეტისმეტად ფიცხობ, ერიკ!

ერიკ ბრატი. ტემპი, დედიკო!

ქარინი. მამაშენი ვალებში ჩაფლული დიდებული იყო.

ერიკ ბრატი. მისი ფირმა ალბათ გაკოტრდა!

ქარინი. ფირმა კი არა, გრაფის ოჯახი!

ერიკ ბრატი. რატომ ჩავარდა ვალებში?

ქარინი. ფულს სესხულობდა სულ ერთთავად.

ერიკ ბრატი. რის იმედით?

ქარინი. კეთილშობილი გვარისა, ალბათ.

ერიკ ბრატი. გასტუმრება?

ქარინი. საქმე ქორწინებით გამოასწორა.

ერიკ ბრატი. შენ შეგირთო?

ქარინი. (ღიმილით) სათქმელად ადვილია!

ერიკ ბრატი. სხვაფრივ ვერაფერი ყმაწვილი იყო, არა?

ქარინი. როგორ დაასკვენი?

ერიკ ბრატი. შენი გაქცევა უკუნ ღამით, მე — პაკეტში

ქარინი. მართალია. დასაწუნი რა მქონდა. თავის დროზე
თვალმისავალი ქალი ვიყავ და ჩემს სილამაზეს არ
სჭირდებოდა საფანელი სიმდიდრისა. მაგრამ გრაფი
ამას არ დაგიდევდათ, მისთვის ბურჟუის ქალიშვილი
მხოლოდ და მხოლოდ გასაღები იყო ბაბუაშენის ოქ-
როს განძისა!

ერიკ ბრატი. შენც ადექი და კვერი დაუქარ!

ქარინი. ქორწინების მიზეზი? ბაბუაშენი ბედნიერი ვიხი-
ლე და ამან დამძლია. მამისა მჯეროდა და ბრმად დავყე-
ვი მის გეგმას. ბავშვი ვიყავი, ჭკუაუწვრთნელი და ბო-
ლოს გრაფი სტიერნენჰოს ცოლობა მეც, ვით ყველას,
რამედ მიღირდა!

ერიკ ბრატი. მაშ ეს არის მამაჩემი? მისი სახელი?

ქარინი. მამაშენი, ერიკ, გრაფი ჯეიმს სტიერნენჰოა!

ერიკ ბრატი. მე კი თავს ბრატს ვუწოდებ!

- ჩინი. ახლავე გაგაგებინებ! — აქ გაიშართა ქორწილი.
- ბრატი. ანტიკვარული ნივთების ამ ტალანში?
- ჩინი. (მიმოიხედავს) მაშინ აქაურობა გატიალებული იყო, მამაშენს განუახლებია.
- ბრატი. ქორწილისათვის?
- ჩინი. ეტყობა მერე ყველაფერი ისე წარიშართა, როგორც უნდა წარმართულიყო. ერთ დღეს თვალები ამეხილა, როცა ბაბუაშენი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ტყეში.
- ბრატი. მის დაღუპვას ძია კნუტმა დაარქვა ღირსეული სიკვდილი ტყით მოვაჭრისა.
- ჩინი. ბიძამ თავისი სარჩო-საბადებელი შენ გიანდერძა?
- ბრატი. იღუმალებით მოცულ შენს მგზავრობას ფარდა ეხდება: ხვალ სრულწლოვანი ვხდები და მემკვიდრეობას უნდა დავეუფლო. მზადა ვარ, დედი!
- ჩინი. შენი თავი ნაკლებ მაფიქრებს.
- ბრატი. მემკვიდრეობა ვის არ ვსიამოვნება — კაცნი ვართ!
- ჩინი. მამაშენი მშრალზე დარჩა და, მისი ხელმოცარვა ისევ ჩემი საზღვევი არი!
- ბრატი. სერიოზულად ამბობ, დედა?
- ჩინი. სერიოზულად. სასამართლომ გადაწყვიტა ჩვენი გაყრა და შენი თავი მე მარგუნა!
- ბრატი. (წყნარი ხმით) ამჯერად მართლაც არ შემეძლო დაგხმარებოდ!
- ჩინი. არა, და მეც სხვა ხერხს მივმართე და შეჭირვებასა და დევნას ქუჩაში ნაპოვნი ქალის დახმარებით დაგწიე თავი.
- ბრატი. რა საინტერესოა, დედა!
- ჩინი. შენ დაგრჩა ფული, მე კი დაცინვით მომისროლა მამაშენმა. ამიტომ იყო, შესი ხელში ჩაგდება განიზრახა. მაშინ ხომ პროცენტები ერგებოდა და, ბოლოს, ქონებაც. საცა ბავშვი იყო, იქ გაჩნდებოდა ფული. შენს მოტაცებას შეეცადა. პირველი ცდა მარცხიანი აღმოჩნდა, მეორე — უარესი, მაგრამ ბავშვი მაინც მიიღო!

ერიკ ბრატი. ველარ გავიგე, თუ მეორე ცდაც მარცხით დამთავრდა, ბავშვი მაინც...

კარინი. მის მსტოვრებს სულ სხვა ბავშვი შერჩათ ხელში. შეცვლილი ბავშვი, მე რომ საბავშვო ეტლში ჩავაწვინე, ბაღის კიდეზე მივიყვანე და დავუტოვე.

ერიკ ბრატი. (შეხედავს დედას, ხარხარი აუტყდება) რატომ კანზასში არ გვითხარი ეგ ამბავი, თავს შევიქცევდით! ჩვენი სიცილი კედლებს შეძრავდა, ბიძია კნუტი საფლავიდან ამოიჭრებოდა და აფეთქდებოდა შუბხუნასავით!

კარინი. ბიძია კნუტმაც შენსავით იცინა, როცა „ბატერფლაიზე“ ყოფნისას მოვახსენე, რა ეშმაკურად გამოვიყენე მისი სტუმრობა; თავის განიერ პალტოში შეფუთული გამოგიყვანა სახლიდან და ავტომანქანაში ჩაგსვა, რომ კაციშვილს აღარ ეაზრა მეორე ერიკის არსებობა!

ერიკ ბრატი. (სიცილით) როგორ შესძელი ბიძის სიკვდილამდე არ გაგემხილა ეს საიდუმლო!

კარინი. მან საზეიმო ფიცით აღმითქვა!

ერიკ ბრატი. ექვსი გროგით შეხურებულმა!

კარინი. დიახ, საზეიმოდ აღმითქვა! ორი დღე ნავსადგურში დავახანეთ, ბიძია კნუტმა ჩემი პასპორტი მოაწესრიგა, შენ კი გმაღავდით. ოკეანის გაღმა ნაპირზე შეუმჩნევლად გადავედით. აქ შენს მაგივრად ხომ იყო ბავშვი დატოვებული, ამიტომ ყოველგვარი ძებნისაგან დაზღვეული იყავ!

ერიკ ბრატი. (წამოდგება და პირზე ჰკოცნის) მადლობის ნიშნად, რომ თან წამიყვანე.

კარინი. შენ მუდამ გულს მიხარებდი, მაგრამ იმ მეორე ერიკის ბედი ცოტა მაშფოთებს.

ერიკ ბრატი. (შეხედავს დედას, თითქოს რამეს ეკითხებაო, შემდეგ გახალისდება)

ჰო, აქ ხომ ორეული დამჩა ჩემი.

თუ იზრუნე, რომ ღირსეული ყოფილიყო ჩემი შემცვლელი?

კარინი. არა, ერიკ, სამაგისოდ თავს ვერ გამოვიღებ. პატარა მაწანწალა დედამისმა, ქუჩის ქალმა მომიყვანა. იმ

ქალის სატრფო მაშინ თურმე ციხეში ბრძანდებოდა.
ქალმა ბავშვი სიხარულით მოიმორა და სიცილით კვლავ
ბოდა, მოტაცებას რომ უყურებდა!

ქროტი ბრძატი. (თავზე წაივლებს ხელს, სიცილით ამბობს)
გაგინ გაუზრდიათ, წინაპართა პორტრეტებისა და რა-
ინდული საჭურველის გარემოცვაში!

ქრონი. (მკაცრად) დიახ, ბიჭი აქ იზრდებოდა. ახლა ვი-
ხილავ ნაყოფს მათი აღზრდისა და მისდაკვალ ვიპოქმე-
დებ!

ქროტი ბრძატი. სად დაიკარგა მაწანწალა დედამისი?

ქრონი. არაფერი ვიცი, არაფერი, ერიკ, გვარიც კი არა.
ჩემი ბანკიდან პენსია დავუნიშნე „ქალს, ვინც ამ ბა-
რათს წარმოადგენს“ — და ასე გაშორდა იგი ჩემს
თვალსაწიერს.

ქროტი ბრძატი. სამუდამოთ დამუნჯებული?

ქრონი. უბარი მანამ, ვიდრე, ოცი წლის თავზე სტიურ-
ნენძოს სასახლეში არ გამოცხადდება — დღეს, ესე იგი.
გაქცევის დღეს ნავსადგურში ვიზეიმეთ სწორედ შენი
დაბადების დღე, ერთი წლის გახდი!

ქროტი ბრძატი. რა დიდებული შეხვედრა იქნება სუყველა-
სათვის.

ქრონი. დადგა კვანძის გახსნის ჟამი, მარყუჟად გასკვნი-
ლი და გველივით დახვეული კვანძისა!

ქროტი ბრძატი. (წამოხტება, ხელს დაავლებს მაგიდაზე
მღებარე ზარს და რეკავს)

ქრონი. რას აპირებ?

ქროტი ბრძატი. მომე შენი პალტო და ქუდი!
(ლაქია შემოდის მარცხნიდან!)

ქროტი ბრძატი. (ლაქიას) პალტოს გავიხდით!
(მიაწვდის მას კარინის ნივთებს, მკლავზე დაუწყობს,
შემოდან მოათავსებს თავის ტყავის პალტოსა და ქუდს)
სასწრაფოდ მობრუნდით უკან! (ლაქია გადის)

ქრონი. ჩვენ აქ არავის დაუპატიჟივართ!

ქროტი ბრძატი. ოცი წელიწადი ამ სახლში თურმე ისე მე-
ლოლიავებოდნენ, რომ უცებ გავშინაურდი და ამიტომ
მე გაპატიუებ!

კარინი. ლაქიასთან რაღა გინდა?

(ლაქია შემოდის)

ერიკ ბრატი. მოდი, სასახლე დავათვალიეროთ!

ლაქია. (შეშინებული) — ბატონმა ლინდსტრემმა გამოგაგზავნათ?

ერიკ ბრატი. (წამით შეცბება) თუნდაც ლინდსტრემმა აბა, ჯერ ქვედა სართული!

(კარინს) თუ დაგჭირდე, ზარი დარეკე!

(შიშისაგან აფუსფუსებულ ლაქიასთან ერთად გადის მარჯვენა კარიდან).

(უკანა კარით შემოდის ბარონი ბარენკრონა, თავს ისე მოაჩვენებს, ვითომ კარინს ეძებდა და შორიახლოს დგება).

ბარონი. ქალბატონი ბრატი?

კარინი ვითომ ვერ ამჩნევს)

ბარონი. მე დამაკისრეს მისია.

კარინი. (ზედაც არ უყურებს) შვეიცარი ბრძანდებით?

ბარონი. (მორცხვად ჩაახველებს, უცებ რევერანსს გაუკეთებს)

ბარონი ბარენკრონა!

კარინი. (გაოცებით) სტიერნენჰოს სასახლეში?

ბარონი. ჩემი აქ ყოფნის მიზეზია აწ გაცხადებული გულთა კავშირი! დიახ, სწორედ გულთა კავშირი, სტიერნენჰოსთა და ბარენკრონების სახლთა დამოყვრება!

კარინი. ჩემთვის ფრიად მოულოდნელი!

ბარონი. თუმცა გაიოცეთ, მაგრამ საოცარი არაფერია!

კარინი. და მაინც მწვავს ცნობისწადილი!

ბარონი. საქმე ისაა, რომ მთლიანად აღდგა შეფერხებული ურთიერთობა.

კარინი. რისი წყალობით?

ბარონი. ამას თავი ვაგანებოთ. ამჟამად მთავარია გაგიფანტოთ ილუზიები, რამაც ალბათ აქ მოგიყვანათ!

კარინი. თქვენ რა გგონიათ?

ბარონი. ოკეანის გაღმა ვერ შეიტყობდით, რომ ერიკი შემდგომ სასამართლომ გამოაცხადა გრაფ სტიერნენჰოს ოჯახის წევრად!

ქარინი. (მიაშტერდება)

ბართნი. ვფიქრობ, იქმარებთ ჟენტლმენის სიტყვას და საბუთის წარმოდგენას აღარ მოგვთხოვთ!

ქარინი. (კრინტს არ ძრავს)

ბართნი. ამით დასასრულს მიეახლა ჩემი მისია, ქალბატონო ბრატ!

(წახვლას აპირებს)

ქარინი. არა. დაიცაოთ! გაგონილმა თხემით ტერფამდე გამიარა. ვინ გახდა ვისი ოჯახის წევრი?

ბართნი. არსებობს ერთადერთი კანონიერი გრაფი ერიკ სტიერნენჰო!

ქარინი. ამას ახლავე უნდა მოეღოს ბოლო!

ბართნი. — მგონი, დაგაგვიანდათ ხელისუფალთა შეწუხება, გრაფი ერიკი ხვალ სრულწლოვანი გახდება!

ქარინი. მაშინ, ახლავე, აქვე უნდა გესაუბრო იმ ყმაწვილ კაცს!

ბართნი. რომელ ყმაწვილს?

ქარინი. სახელი არ გიცი. ახალგაზრდა კაცს, აქ რომ გაზარდეს!

ბართნი. თქვენ ისე ლაპარაკობთ ერიკზე...

ქარინი. მე ერიკზე არ ვლაპარაკობ! გამომიგზავნეთ ყმაწვილი, ახლავე!

ბართნი. რად მატანთ ძალას...

ქარინი. მკარნახობს ვითარება!

ბართნი. ქალბატონო ბრატ, რახან მაიძულებთ, პირდაპირ გეტყვი: სასახლეში ყველა მოელის, რომ ჩემი აქედან გასვლისთანავე თქვენც გაქრებით და მომავალშიც თვალთ არავის დაენახვებით!

ქარინი. მთლად უაზროა თქვენს მიერ მოწყობილი სპექტაკლი, მე დავრჩები, ვიდრე ყმაწვილი აქ იქნება. სანამ კარგად არ ივუხსნი ყოველივეს!

ბართნი. რა საჭიროა განმარტება, გრაფი ერიკი...

ქარინი. (ხმამაღლა გაეცინება) გრაფი ერიკი?

ბართნი. მე არ მესმის, რა არის აქ სასაცილო?

ქარინი. (თავშეუკავებლად იცინის) ერთი მანახეთ ეგ თქვენი გრაფი ერიკი!

ბარონი. კარგა ხანს დაგჭირდებათ ლოდინი!

კარინი. სამაგიეროდ შედეგი გაამართლებს მოლოდინს!
(საკმაოდ მოთმინებადაკარგული ბარონი გადის)
(ერიკ ბრატი შემოდის მარჯვენა კარიდან)

ერიკ ბრატი. (იციინის) კატაკომბები მომატარეს, საფლავის კულტია სასახლეში, საშინელებაა, დედი!
(დედის სიცილი შეაცბუნებს)

დედა?

კარინი. ერიკ! შენა ხარ:::

ერიკ ბრატი. (შეათვალიერებს თავის თავს)
აბლაბუდა ხომ არ მომედო?

კარინი. გრაფად კურთხეულო, სტიერნენჰო!

ერიკ ბრატი. დიდი მადლობით უარს ვაცხადებ!

კარინი. თავს ტყუილად იცავ — სასამართლომ გაქცობა გრაფ სტიერნენჰო!

ერიკ ბრატი. უაზრობაა!

კარინი. თუ ცრუ ერიკს მიაკრა გრაფის ტიტული!

ერიკ ბრატი. მაინც ხომ სხვა გამოდის!

კარინი. მხოლოდ დროებით შენი შემცვლელი, ერიკ!

ერიკ ბრატი. რისი თქმა გინდა?

კარინი. არ მოგწონს შედეგის გრაფობა?

ერიკ ბრატი. (იციინის) ამის პასუხს მოგახსენებ, მამისეული სასახლის დათვალიერებას რომ მოვრჩები.
(მარჯვენა კარს გააღებს. შემოდის ლაქია)

ზედა სართული.

(ლაქიასთან ერთად აღის კიბეზე და გაუჩინარდება)

(უკანა კარიდან სწრაფად შემოდის ერიკი, მკლავებში ამოუჩრია ტენისის ჩოგანი).

ერიკი. (კარინის წინაშე ჩერდება) მე აქ გახლავართი — რა გნებავთ?

კარინი. (შეტისმეტად გაოცებული) ეს თქვენა ხართ? საუცხოოა!

ერიკი. შე...
ერთი შემობრუნდით, მინდა კარგად შეგათვალიეროთ!

კარინი. ჯერ ნურას იტყვი! ჯერ დავეძლიო გაოცება!
სიზმარში მგონია თავი, ნუთუ შეიძლება...

ერეკი. ეს საუბარი არად მიღირს, რადგან ტენისის შეწყვეტილი პარტია მეღის. ორი პესეტით დავწინაურდი.

ქარინი. ამის მნახველმა მართლა უნდა იწამოს სასწაული! ერეკი. თქვენ სურვილს დავყევი და გეახელით. ახლა კი მინდა სამუდამოდ დაგემშვიდობოთ!

(თავს დაუკრავს, წასვლას დააპირებს)

ქარინი. მაცადეთ, გითხრათ ერთი სიტყვა, ყმაწვილო. მე ვანე გადმოვლახე, რომ შეგხვედროდით, ნუ ჩაშლით ჩვენს პაემანს!

ერეკი. მადლობელი ვარ, შენობით რომ არ მომმართავთ!

ქარინი. საამისო უფლება არ მაქვს და არც არასდროს გგონია!

ერეკი. თქვენ ხომ თავად მკვეთრად გაავლეთ გამყოფი ხაზი სტიერნენჰოს შთამომავლობასა და ბრატის ოჯახს შორის?

ქარინი. თქვენზე თუ ვიტყვით — უფსკრულივით ღრმად!

ერეკი. მით უმეტეს საოცარია ჩემი დაბადების დღეზე თქვენი ჩამოსვლა.

ქარინი. არ ვიცი, ხვალე კია თქვენი დაბადების დღე?

ერეკი. მიკვირს, ეს დღეს დაგვიწყებიათ!

ქარინი. მუდამ მახსოვდით და თქვენზე ბევრად მეტსა ვზრუნავდი, ვიდრე გგონიათ. ჩემი ცხოვრების შინაარსი სანახევროდ მაინც ეგ იყო. ფრიად მნიშვნელოვნად ნესახებოდა ექსპერიმენტი, შემთხვევამ იგი ზოგადკაცობრიულ ამბად აქცია ჩემთვის.

ერეკი. თქვენ თურმე ინებეთ და ჩემს სიმამრს უკვე...

ქარინი. (წამოხტება) თქვენს სიმამრს?

ერეკი. დიახ, ბატონ ბარენკრონას ესაუბრეთ ნართაულებით.

ქარინი. აქ საცოლე გყავთ? დანიშნული?

ერეკი. ხვალ გაზეთში გამოქვეყნდება ცნობა ჩემი და ბარონესა აღისას ნიშნობის თაობაზე!

ქარინი. (უკან დაიწევს) ყმაწვილო!

ერეკი. ხომ გაიგეთ, რომ ზადი ჩემი დაბადებისა ძირისძირამდე წარიხოცა მას შემდეგ, რაც დავუმოყვრდი აზნაურთა უძველეს მოდგმას!

კარინი. (კენესითა და ღიმილით) ესე იგი, ბრატო წარ-
ხოცა?

ერიკი. დიახ, ბრატო!

კარინი. თქვენ ამ გვარისა არასოდეს არა ყოფილხართ!

ერიკი. მე მთლიანად გადამავიწყდა...

კარინი. (თავს შეიკავებს) დაბრძანდით ჩემს გვერდით.
ათიოდე წუთი დამითმეთ. მადლობელი იქნებით შემ-
დეგ. შეშინება კი არ მსურს თქვენი, ერთ რამეს გვი-
თხავთ.

ერიკი. (უხალისოდ დაქლება)

კარინი. გიყვართ თქვენი დანიშნული?

ერიკი. (გულუბრყვილოდ) მე მიყვარს ალისა.

კარინი. ალისას თუ უყვარხართ?

ერიკი. (იმავე კილოზე) ქალსაც ვუყვარვარ.

კარინი. ვინა? გრაფი სტიერნენჰო, თუ ადამიანი, რომე-
ლიც ჩემს წინაშე ზის?

ერიკი. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და მორჩა!

კარინი. მშვენივრადა თქვით. რაკი ასეა, დაზღვეული ყო-
ფილწართ ყოველგვარი იმედგაცრუებისაგან. ოღონდაც
გრძნობა შეინახეთ შეუბღალავად. ამაზე ბევრი რამ
არის დამოკიდებული, რაღა თქმა უნდა! თქვენ კა-
გთხოვთ ისევ გაბრუნდეთ პარკში, განა ტენისის სათამა-
შოდ: გაისეირნეთ თქვენს დანიშნულთან წყნარ ხეივან-
ში. ხომ გიყვართ ქალი, ჰოდა, ერთხელ კიდევ დარ-
წმუნდით, რომ მასაც უყვარხართ! (ერიკი წამოდგება,
ტენისის ჩოგანი დაავიწყდება და უკანა კარით გადის.
ერიკ ბრატო ხტუნვა-ხტუნვით ჩამოირბენს კიბეს).

კარინი. (კიბესთან შეეგებება) ერიკ.

ერიკ ბრატო. ჰელოუ!

კარინი. შენ დანიშნული ყოფილხარ თურმე!

ერიკ ბრატო. ვისზე?

კარინი. ბარონესა ალისა ბარენკრონაზე!

ერიკ ბრატო. (სავარძელში მოიკადათებს) რა ჰქვიაო?

კარინი. ბარონესა — ალისა ბარენკრონა!

ერიკ ბრატო. ეს დავიხსოვით?

კარინი. ჯერჯერობით შენს მაგივრად სხვა გაიჩვენება!

გრიკ ბრატო. შოინახულე?
 კარინი. მძიმე დღე გელის
 გრიკ ბრატო. კვლავ დავაკისროთ ჩემი მაგიერობა?
 კარინი. არ გამოვა.
 გრიკ ბრატო. ხომ არ მაქვებ, უფლებები გამოვიყენო?
 კარინი. რატომაც არა, საპატარძლო თუ კარგია?
 გრიკ ბრატო. გკოცნი, დედო (წაიმღერებს)
 კანზასში ერთი ქალია!
 (კიბეზე ჩამოდის ლაქია)
 გრიკ ბრატო. დარჩა კიდევ მტვრიანი კუთხე?
 ლაქია. შეიძლებოდა რაინდთა სახლის დათვალიერება.
 გრიკ ბრატო. ცხენივით დავრბივარ, დედა, მაგრამ შეგ-
 დებ — ველური დასავლეთი, ოთხი კვირაც და ცა ქუ-
 დად შექნება და დედამიწა ქალამნად! (ლაქიასთან ერ-
 თად გადის მარცხენა კარიდან. გრაფი შემოდის უკანა
 კარიდან)
 გრაფი. ბარონი ბარენკრონა და ერიკიც თქვენთან საუბ-
 რის შემდეგ პიდაპირ საგონებელში ჩავარდნილები დაგ-
 ვიბრუნდნენ. იქნებ ვაჭარბებ? თანაც პალტო და ქუდი
 გაგიხდიათ, ძალიან გაშინაურებულხართ. ახლა გთხოვთ,
 ჩემს წინაშე ჩამოიხსნათ ნიღაბი. მითხარით, რა გნე-
 ბავთ?
 კარინი. ახლა — მინდა მადლობა მოგახსენოთ, ჯეიმს!
 გრაფი. რისთვის?
 კარინი. იმისთვის, რომ, — არ გადავაჭარბებ — დამიხსე-
 ნით ჭირთა თმენისგან!
 გრაფი. ვის გულისხმობთ?
 კარინი. თქვენ მიერ აღზრდილს!
 გრაფი. მერედა რა გაშინებთ?
 კარინი. ვაითუ სპეკულაციას ემსხვერპლოს-მეთქი.
 გრაფი. ეს ამბავი წარსულს ჩაბარდა და თქვენთვის საინ-
 ტერესო აღარაა.
 კარინი. კიდევ ერთხელ რომ დავგჭირდეს ფიცქვეშ ჩვე-
 ნება?
 გრაფი. რაიმე დარჩა გამოსარკვევი?
 კარინი. თავი და თავი!

გრაფი. შაინც რა?

კარინი. უნდა გავიგოთ, ვინ არის დედა...

გრაფი. აი, ათიოდ სიტყვა, თქვენივე ხელით დაწერილი.
(ამოიღებს წერილს და ხმამაღლა კითხულობს)

„გრაფო სტიერნენჰო, მიეხვდი, რომ ბავშვი, დღეს ძალით რომ დაეუფლეთ, თქვენს სასახლეში თავს უკეთ იგრძნობს, ვიდრე დედის ხელში, ვისაც იგი მოსტაცეთ... აღზარდეთ იგი იმ საზოგადოების ღირსეულ წევრად, ვის სახელოვან წარმომადგენლადაც ასაღებთ თავს“.

იქნებ წერილი თქვენ არ დაგიწერიათ?

კარინი. საკუთარი ხელით დავწერე.

გრაფი. სასამართლომ წერილი მიიჩნია უმთავრეს საბუთად. თქვენ ხომ უარი განაცხადეთ ბავშვზე და ამიტომ მოტაცებაზე კვერის დაკვრასაც მოასწავებს თქვენი წერილი.

კარინი. გეთანხმებით. მაგრამ ნუთუ ეჭვი არასოდეს შეგპარვიათ?

გრაფი. ამ წერილის გამოგზავნა იყო და თქვენ ოცი წლით გადაიკარგეთ, ჰოდა, რაღას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე სადაოდ და საკინკლაოდ მოგვადგებოდით.

კარინი. ერთ მშვენიერ დღეს დედამ რომ მოიკითხოს თავისი შვილი?

გრაფი. თქვენ იმდენ ხანს სდუმდით, საპირისპირო დაამტკიცეთ.

კარინი. მე ჩემი ვაჟით ვცოცხლობდი მხოლოდ.

გრაფი. ფრთაშეუკვეცი ფანტაზიის ნაყოფია.

კარინი. არა, ბატონო, ჭეშმარიტება!

გრაფი. სამწუხაროდ, თქვენი აქ ყოფნა არავის შეუმჩნევია.

კარინი. ჩემი ყოფნა შვილთან?

გრაფი. დიახ, ნამდვილი ყოფნა.

კარინი. მაშ უფრო გარკვევით მოგახსენებთ: მე და ერიკი დღეს ჩამოვედით!

გრაფი. (იცინის) საიდან, ნეტავ?

კარინი. კანზასიდან!

- ფი. იქნებ მთვარიდან!
- ინი. არა, მოდი, დავრჩეთ მიწაზე. მე ერიკი ერთი დღითაც გვერდიდან არ მომიშორებია და ახლაც მასთან ერთად გადმოვლაზე ოკეანე!
- ფი. მოდი, ვასიამოვნოთ ერიკი და შევეკითხოთ, რა თავგადასავლები გადახდა კოსმოსში ნავარდისას?
- ინი. დავუდახებ ერიკს!
- ფი. მე დავუდახებ!
- ინი. ერიკი პარკში არ არის!
- ფი. პარკშია ერიკი!
- ინი. ჩემი ერიკი — არა!
- ფი. ჩემი ერიკი...
- ინი. არ არის ერიკი!
- (გრაფს ენა ჩაუვარდება)
- ინი. არა. ერიკი დარჩა ერიკ ბრატად. დიახ, მისგან გრაფი არასოდეს გამოჩეკილა. მოკლედ და პირდაპირ მოგახსენებთ: ერიკ ბრატი ისაა, შოფრად რომ მომი-ნათლეთ. უნდა გითხრათ, არცა მწყენია: ერთხელ აკი თავგზა ამიბნია ვინმე გრაფმა სტიერნენჰომ და შოფერს რას ვერჩით!
- ფი. ეს ერიკი ვინლაა?
- ინი. რომელი?
- ფი. ჩემი!
- ინი! საბავშვო ეტლი ხომ მოატაცებინეთ და რაც ქურ-დებს ხელში ჩაუვარდათ, ის მოაბრძანეს სასახლეში!
- ფი. შემიცვალეთ ბავშვი?
- ინი. დიახ, ბატონო!
- ფი. თვალთმაქცური ოინია!
- ინი. საპასუხო დარტყმა იყო, თქვენი შემოტევის შემ-დეგ. პირველი ცდა მოტაცებისა მარცხით დამთავრდა, შემდეგ შევცვალე და — აკი მოახერხეთ.
- ფი. შურისძიების წყურვილი რომ მოიკალით, ჩემთვის უნდა შეგეტყობინებინათ.
- ინი. არა. მაშინ ჩემი ვაჟიშვილი თქვენს დევნას ველარ გადაურჩებოდა. თქვენ გჭირდებოდათ ერიკის თავი.
- ფი. რა თქმა უნდა, ერიკი მჭირდებოდა...

კარინი. ასე დავტოვეთ თქვენი ნადავლის ამარა და, დღეს
მიხარია, რომ არ წაგიხდინეთ ხალისი ამ ყმაწვილის აღ-
ზრდისა. თქვენ მომხიბვლელ კაცად აქციეთ იგი სულთ-
და ხორციით, ეგაა მხოლოდ, რომ ცოტათი კობტაპრუსაა.

გრადი. ნეტავ ვისთვის გავისარჯე?

კარინი. მისი გვაროვნული შტო ქუჩაში იღებს სათავეს.
ხოლო დედ-მამა იქ თავს ისე გრძნობს, ვით საკუთარ
სახლში. მამამისი ციხეში იჯდა.

გრადი. არამზადა!

კარინი. ქალბატონი დედამისი კი თივის ზეინში ბინად-
რობდა.

გრადი. დასახრჩობია!

კარინი. ბავშვი ჭუჭყიან ძონძებში ჰყავდა გახვეული.

გრადი. მაწანწალა!

კარინი. შევხსენი სახვევები პატარას, კარგად დავბანე,
სუნამო ვაფრქვიე, პატარა ყელზე მედალიონი ჩამოვ-
კიდე და მაქმანიან ბალიშებზე მოვასვენე. ბებერ იო-
ჰანსონს ბავშვის ეტლი ბალის კიდესთან მივაყვანინე.
საკუთარ თვალთ ნახა მოხუცმა ბავშვის მოტაცება!
— ბულვარული ამბავია, ჯეიმს. რას იზამ, ასეთია
ცხოვრება.

გრადი. თქვენ და ერიკი ახლავე უნდა მოშორდეთ აქაუ-
რობას. სამგზავრო ხარჯს მე გადაგიხდით. მეორე კლა-
სით გირჩევნიათ თუ პირველით?

კარინი. გსურთ ყველაფერი ასევე დარჩეს?

გრადი. უსათუოდ. არა, გვიანაა ამ ამბის სააშკარაოზე გა-
მოტანა: ერიკი, ესე იგი ცრუ ერიკი, დანიშნულია და
მეფის დრაგუნთა სიგელი აქვს მიღებული.

კარინი. მაშ, როგორც არის, ყველაფერი ასე დავტოვოთ?

გრადი. გრფ სტიერნენჰოსს წოდება რომ ჩამოერთმევა?

კარინი. სამაგიეროდ საყვარელი საქმრო იქნება და ყოჩა-
ლი ჯარისკაცი!

გრადი. თქვენ მთვარიდან ხომ არ ჩამოფრინდით?

კარინი. ნუთუ ნებისმიერ ტყუილს იკისრებთ?

გრადი. აბა, როდის, ვინ მოვატყუე?

კარინი. აი, თუნდაც მე!

გრაფი. თქვენ აჭარბებთ!

კარინი. რაკი სიყვარულს არ გააჩნია კურსი, ფულით რომ განიზომება? თქვენ ხომ მაშინ გაზომეთ იგი, ჩემს ფულზე როცა იქორწინეთ! აბა ეს რა სიყვარულია? მე კი გრძნობა გამომტყუეთ ათასგვარი ხრიკით, ისე, თქვენა და თქვენი ჯურის კაცს რომ ემარჯვება. თქვენ მე მაქციეთ ქუჩის ქალად, თავად სუტენერობაც კი უარჰყავით. თუ ფულს მოგიტანდით, მაშინ გინდოდით მხოლოდ, მსგავსად იმ მაწანწალისა, ვისი შვილიც ახლა შინა გყავთ. სწორედ ის ბავშვი გეკუთვნით თქვენ და არა ჩემი შვილი. ვაის შეგყრიდით, რძით და თაფლით რომ არ გამოგეზარდათ, თავს დაგატეხდით მაშინ ისეთ შურისძიებას, რომ მომეშხამეთ და მაღა წარმეღო ამგვარი ცხოვრების!

(უკანა კარიდან შემოდის გრაფის ქალი)

გრაფის ქალი. ვბრძანე, რომ ჩაი ათი წუთის შემდეგ აქვე, გალერეაში მოგვართვან, ვიწრო წრეში. ვიმედოვნებ, ათ წუთში აქ ჩვენთანები დავრჩებით მხოლოდ. (მიმართავს კარინს) ქალბატონი კიდევ მოიცდის?

გრაფი. (აწყნარებს) იუტა მამიდა.

გრაფის ქალი. უცხოთა თანდასწრებით — „თქვენო ბრწყინვალეებავ“ უნდა ბრძანო, ჩემო ძვირფასო ჯეიმს! (მიუბრუნდება ისევ კარინს)

ბარონმა ბარენკრონამ დაგიოხლოვათ, გრაფი ერიკი თავად წარვიდგათ; ჯეიმსმა, ესოდენ დაკავებულმა კაცმა, დრო არ დაიშურა; ახლა მე მოგმართავთ: ათი წუთი დაგვითმია და მერე... (გრაფს) ექვსი კაციისთვის გაშალონ სუფრან, მისს გროუვის ჩათვლით.

ერთი ლაქიას დაუბრუნე! (გრაფი ატეხს გაუთავებელ რევას)

გრაფის ქალი. კმარა, ჯეიმს, ყურთასმენა ხომ არ აქლია!

(კარინს) როგორ მოვახერხოთ თქვენი გაყვანა სუფთა ჰაერზე? ფული ხომ არ შემოგველიათ? (ჯეიმსს) სად დაიკარგა ლაქია? იქნებ რა გვჭირს.

კარინი. ლაქია ერიკს სასახლესა და რაინდთა საკრებულოს
აჩვენებს.

გრაფის ქალი. გრაფი ერიკი ბარონესა აღისასთან ერთად
პარკში სეირნობს!

კარინი. ლაქია მაინც მოვიდეს ამ ყურის წამლებ ზარის
ხმაზე!

გრაფის ქალი. აქ ლაქიებზეა ლაპარაკი — უგვანობაა!

კარინი. თქვენ წამოიწყეთ ეს საუბარი!

გრაფის ქალი. სწორედ თქვენთვის და, უწინარეს ყოვე-
ლისა, თქვენნაირთათვის მაქვს მე ტიტული — ბრწყინ-
ვალეზავ!

კარინი. აქ ტიტულებზე ლაპარაკი უგვანობაა.

გრაფის ქალი. რაო, თქვენ უფრო ღირსეული გვარის
ბრძანდებით?

კარინი. ეს რომ არ მწამდეს, ამ სიშორეს რა წამომიყვანდა!

გრაფის ქალი. საგანგებო რამ შემთხვევაა?

(გრაფი დამთხვეულივით განაგრძობს რეკვას)

გრაფის ქალი. ეს უტაქტობაა, ჯეიმს! ასე რეკვა საძრ-
ხისია.

გრაფი. სროლა როგორია, იუტა მამიდა, კაცმა ტყვია რომ
იკრას შუბლში! მე აბა მეტი რაღა დამრჩენია!

გრაფის ქალი. რა უყავით ამ კაცს?

კარინი. არაფერი ისეთი, ეგ არის მხოლოდ, რომ ოცი
წლის შემდეგ ერთი შეცდომა განვუმარტე: ერიკ ბრა-
ტი სტიერნენჰოს სასახლიდან ჩემთან ერთდ გაქცევის
შემდეგ უკან არასდროს მობრუნებულა!

გრაფი. და მე თურმე გადავგებივარ ვიღაც თაღლითისა და
მისი ტურფას ნაშიერს! თავი მოგვეჭრა მთელს საგვა-
რეულოში!

გრაფის ქალი. (თავს შეიკავებს) ერიკი ნამდვილი გრა-
ფია: ჩემს მზერას რა გამოეპარება! თაღლითი თქვენ
ბრძანდებით, მადამ!

კარინი. (აიღებს თავის ჩანთას) საბუთები გნებავთ?

გრაფის ქალი. არავითარი. ყალბი იქნება, თქვენ დაიტო-
ვეთ! იცნობთ დედას, ვისაც ბავშვი წაჰგვარეთ?

კარინი. დიახ.

- ბრაფის ქალი. რა ჰქვია?
- კარინი. გვარი არ ვიცი.
- ბრაფის ქალი. სადა ცხოვრობს?
- კარინი. არ ვიცი.
- ბრაფის ქალი. ხშირად გინახავთ?
- კარინი. ერთხელ, ისიც ათი წუთით.
- ბრაფის ქალი. ბავშვი დაგიტოვათ და თვითონ გაქრა?
- კარინი. სასწრაფოდ!
- ბრაფის ქალი. მერე დედის აღარა გსმენიათ რა?
- კარინი. აღარაფერი.
- ბრაფის ქალი. თუ გაუმხილეთ, სად მიჰყავდათ მისი შვილი?
- კარინი. სტიერნენჰოს სასახლეში.
- ბრაფის ქალი. ჯეიმს, ის დედაკაცი ხომ არ გამოჩნდა?
- ბრაფი. ღმერთო, დაგვიფარე!
- კარინი. ახლა ბედავთ და ცილს სწამებთ დედას, ოცა წელი არ გახსენებიათ თავისი შვილი? ამას მხოლოდ თქვენ თუ შეძლებდით. ამიტომაც მოგვიწამლეთ მშვიდი ცხოვრება? მსურს დავიცვა ქვეყანაზე ყველა დედა თქვენს უტიფარ თავდასხმისაგან...
- (კარინიც დარეკავს)
- ბრაფის ქალი. როგორ მიბედავთ?!
- კარინი. ახლა ერიკი უნდა მოვიდეს!
- ბრაფის ქალი. კოხტა შოფერი? ამერიკელი? მართლაც ამერიკული შეთქმულებაა, მაგრამ ჩვენი პოლიცია შეძლებს მის გახსნას!
- (მარცხენა კარიდან შემოდის ერიკ ბრატი)
- ერიკ ბრატი. დედი, ერთადერთი, რაც თვალს ახარებს აქ — გარაჟია. ჩემი მანქანა დავაყენე.
- ბრაფის ქალი არ დაგჭირდებათ, ისეც გიპოვნით საიმედო თავშესაფარს. ჯეიმს, შეატყობინე პოლიციას!
- (უკანა კარიდან შემოდის ბარონი, ალისა, ერიკი, მისს გროუვი)
- ბრაფის ქალი. ნაადრევი მოგივიდათ ჩაიზე მობრძანება. საუბარი ათ წუთზე მეტ ხანს გაჭიანურდა, მაგრამ შედეგიანი გამოდგა ფრიად: ჩვენ ვამხილეთ ორი თადლი-

თი, ვინც ლამობდა შენ მოენათლე მოგდებულ ბავშვებს,
ხოლო ეს შოფერი გრაფ სტიერნენჰოლდ დაესახა.
(ლაქია შემოდის მარცხენა კარიდან)

გრაფის ქალი. აი, ლაქია მოდის. პოლიციას გამოუძახეთ,
სასწრაფოდ გვჭირდება იგი!
(ლაქია შეჩერდება)

გრაფის ქალი. ჯერ ზარის ხმა ვერ გავაგონეთ, ახლა —
ჯეიმს, მართლა ყრუა ეს დალოცვილი?

გრაფი. რა მოხდა?

ლაქია. ვიღაც ქალი მოვიდა.

გრაფი. სახელი?

ლაქია. ის ქალი ამბობს, ქალბატონი აპებლომი გახლავართ,
დღეს მელიანო სტიერნენჰოლდს სასახლეში.

გრაფი. ვინ მელისო?

კარინი. აქ მყოფი ყველა!

გრაფი. (მცირე პაუზის შემდეგ) შემოუშვით ის ქალი
(ლაქია გადის)

(ქალბატონ აპებლომის შემოსვლამდე სიჩუმე ჩამოვარდება)

(აპებლომი ერთი ჩასუქებული ქალია, პროვინციულ ყაიდაზე, ნამეტნავად მდიდრულად მორთული).

ქალბატონი აპებლომი. (რამდენჯერმე მდაბლად დაუკრავს თავს შეკრებილთ, ყველას სათითაოდ შეათვალიერებს, და კარინს მიადგება)

თქვენ ხართ ის ქალბატონი! თითქმის სულაც არ შეუცვლიხართ ამ ოც წელიწადს.

ქალიშვილი ხომ არ ხართ მისი?

კარინი. (გაოცებული) ეს თქვენა ხართ?

ქალბატონი აპებლომი. ისა ვარ და არცა ვარ!

კარინი. თქვენ კი...

ქალბატონი აპებლომი. ორ, სამგზის მომატებული იქნებ იმიტომ, რომ დავდექი. უწინ ხომ სულ ფეხზე ვტრიალებდი, თან ზედმეტად გულუხვიც გახლდი.

კარინი. ველარასგზის გიცნობდით!

ქალბატონი აპებლომი. მასიამოვნეთ. მე კი, მგონი, გავამართლე თქვენი ნდობა!

კარინი. არ შეგონა, რომ თქვენს აღთქმულს შეასრულებ-
დათ!

ლუბატონი აპებლომი. დიალაც შევასრულე, რომ
დღეს-დღეს აქ ნირწამხდარი არ წარმოვმდგარიყავ!

კარინი. (გულისყურს მოიკრებს) როგორ გიკითხოთ?

ლუბატონი აპებლომი. არც თუ კარგად და არც მა-
ინცა და მაინც ცუდად. ისე ვარ, როგორც განგებამ თავ-
დაპირველად ინება. ჩემი ცხოვრების ნავი საგრძნობ-
ლად ირწეოდა. ქარის ყოველ ქროლვას დაეყვებოდი.
სისხლი მიდუღდა, არ მასვენებდა. ძველი ამბით თავს
არ შეგაწყენთ... შემდეგ თავისი გაიტანა რენტამ, ყოველ-
თვიურად რომ გამომქონდა. ბანკში დათქმულ დღეს
მივდიოდე და, ის გზა თითქოს წესიერი ცხოვრებისაკენ
მიმატარებდა. ბანკი იყო ჩემი ტაძარი, მოლარე კი მოძღ-
ვარი ჩემი. იმავე ხანებში მომახარეს გარდაცვალება ჩე-
მი ქმრისა, საპატაროში მოედო მის ტანჯვას ბოლო.
ამიერიდან აღარ იყო საჭირო ვინმესთვის ანგარიში გა-
მეწია. ჰოდა შევძელი დადინჯება და დაფუძნება. ავდე-
ქი და მეორედ გავთხოვდი. ქმარმა ვირთევზას დუქანი
გახსნა. მაგრამ არც ვირთევზა და არც ჩემი თავი დიდათ
თვალში არ მოსდიოდა, რენტას უციცქვირებდა, მისი
წაღლეტა დამიპირა, მოლოტებდა. უმაღლ მივუხვდი, და
რომ გავუგე, კარგი რამ დასკვნა გავაკეთე — გავაგდე!
პირდაპირ კინწისკვრით ვიფრინე დუქნის კარიდან; დუ-
ქანი მაშინ მუშტრებით იყო სავსე და მათაც კვერი და-
მიკრეს! აბა. გთხოვთ, ერთი ეს ამბავი თავად განსაჯეთ:
არანზადა არამზადად დარჩება, აბა კაი კაცად ხომ ვერ
მოვნათლავთ.

(კარინი თავს გადააქნევს)

ლუბატონი აპებლომი. ოდითგანვე ასე ყოფილა.
ჩვენც ძველებურად გვიცხოვრია. არ ვიცი, ვისი ჯილა-
გის იყო ის კაცი, ბანკიდან ფულის წაღლეტა რომ და-
მიპირა ცოლად შეერთვისთანავე. მაგრამ თვით წარმართ-
სა და მუსულმანსაც შევაცოდებდი, თუ იმ თაღლითის
ხელში ჩავარდებოდა. ეგ ნაგავი, ეგ უმაქნისი და მამა-

ძალდი ეგა, ფუჰ, ფუჰ, ფუჰ!
(კარინი თავს დაუქნევს).

ქალბატონი აპებლომი. მაპატიეთ, ვლელი და მე-
ლარ მოვზომე. მაგრამ კაცი ხომ კაცად უნდა ვარგოდეს!
უნდა გითხრათ, ვირთევზას დუქანი უფრო სუფთა საქმე
გამოდგა, ყველაფერი რიგიანად მიდიოდა, მოძარაგება-
ზე თვალი მეჭირა, ვაჭრების რისხვად გადავიქეცი. არა-
მზადებმა თავი მომაბეზრეს და მეურნეობას თვითონ
მოვკიდე ხელი. თავნი და მოგება — ჩემთვის გადავდე.
ბანკში კარგა ფული მაქვს ღია ანგარიშზე, რენტას ხელს
აღარ ვახლებ. დამეზოგა, პროცენტებიც დაერიცხა. შოვ-
ნის თავი თუ გაქვს, ასეა. ზედაც ვირთევზას დუქანი.
ვაყისთვის მყუდრო სამყოფელი მაქვს მომზადებული.
ჩემი ცხოვრების მიმწუხრისას შვილის სიყვარულითა
და პატივისცემით უნდა გავიხარო!

კარინი. ნიჭი ისე მოგიხმარიათ, როგორც ნამდვილ ქრის-
ტიანს შეჰფერის! რას ვიფიქრებდი, ოცი წლის წინანდე-
ლი ჩვენი ხანმოკლე ნაცნობობა თუ ასეთ ნაყოფს გამოი-
ღებდა!

ქალბატონი აპებლომი. უნდა შემეგნო ჩემი ვალი
შვილის წინაშე, სასახლის ჭერქვეშ რომ მეზრდებოდა.
შვილებსაც ხომ შეუძლიათ აღზარდონ მშობლები; დღე
ჩემი აკეს დაბრუნებისა ნიადაგ თვალწინ მედგა. მაჩვე-
ნეთ ჩემი აკე, ოცი წლის წინათ საბავშვო ეტლში რომ
ჩავაწვინე და სტიერნენჰოს სასახლეში გავატანე!

კარინი. ცრუ ერიკი, თქვენ რომ აკეს უწოდებთ, ოცი
წლის წინათ ნაცვლად (ერიკ ბრატზე მიუთითებს) — ამ
ნამდვილი ერიკისა, გრაფ ჯეიმს სტიერნენჰოს მსტოვ-
რებმა ჩემი ბაღის კიდეში საბავშვო ეტლიდან მოიტა-
ცეს, და დღემდე ისე ზრდიდნენ, რომ არც იცოდნენ თუ
ვინ იყო იგი (ერიკზე მიუთითებს) — აგერა ისიც!

ქალბატონი აპებლომი. (მიაშტერდება ბიჭს, დააპი-
რებს მისკენ მკლავების გაწვდენას, მაგრამ დამბლადა-
ცემულივით ჩამოუცვივა ხელები, ამოიქშენს) — აკე...
(საყოველთაო გაოცება; თანდათან ყველა განუდგება
ერიკს; იგი მარტოდ-მარტო რჩება შუაში.)

ერიკ ბრაცი კარინთან მიდის და ხელს მოხვევს მხრებზე. ერიკი მიმოიხედავს, შემობრუნდება და უკანა კარში გავარდება).

ერინი. ქალბატონო აპებლომ, გაეკიდეთ თქვენს ვაჟი-შვილს, თავს არაფერი მოსწიოს!
(ქალბატონი აპებლომი წამოიყვირებს და ერიკს გაედევნება)

ერაფის ქალი. (მკაცრად) ბარონო ბარენკრონა, ხელი მომეცი! მისს გროუვ, თან გვეახლეთ მე და ალისას!
(ცხვირს აიბზუებს კიბის საფეხურზე მდგარი)
— აკე!..

(ოთხნი შემო კარიდან გადიან).

ერაფი. (ერიკ ბრატს) ერთი ტყვია გამოიმეტეთ თქვენი ბრაუნინგისა, თავში დამიმიზნეთ, მე საამისო ვაუკაცობა არ გამაჩნია.

მესამე მოქმედება

იგივე დარბაზი

ერიკ ბრაცი ზის. დიდი გაზეთი აუფარებია სახეზე, სიგარას ეწევა; ტყავის ბუდიანი უზარმაზარი გრამოფონი უკრავს. შემო კარიდან ბარონი შემოდის, ნელა ჩამოდის კიბეზე, ჩაახველებს, სურს ერიკ ბრატის ყურადღება მიიპყროს, ბოლოს სავარძელში ჩაჯდება. ერიკ ბრაცი კითხულობს, თან ეწევა.

ბარონი. ნება მომეცით კითხვა შეგაწყვეტინოთ!

ერიკ ბრაცი. გმადლობთ ყურადღებისათვის! კინალამ გამომრჩა დასასრული, ნემსი ფირფიტას დამიჩხაპნიდა. მგზავრობისას ნივთებს მოფრთხილება უნდა, ღია ზღვაში აბა სად გაიქცევი სათადარიგო ნაწილების საყიდლად. უგრამოფონოდ ხომ მომკლავდა პორიზონტის ცქერა!

(გრამოფონს, ხელაძლა მომართავს და გაზეთის ალებას დააპირებს).

ბ ა რ ო ნ ი. მომიტევეთ, რიგი და წესი თუ დავარღვიე, მაგ-
რამ, ვგონებ, რასაც ახლა მოგახსენებთ, უფრო საგუ-
ლისხმო უნდა იყოს! ბარონი ბარენკრონა გახლავართ,
აღისას მამა!

ე რ ი კ ბ რ ა ტ ი. (რთავს გრამოფონს) ნელი ტემპია!

ბ ა რ ო ნ ი. ამჟამად მიჭირს გზა გავიკვლიო ამ ლაბირინთში,
მინდა გავერკვე, როგორია თქვენი ურთიერთობა ჯერ
სტიერნენჰოსს სახლთან, შემდეგ კიდევ ჩემს ოჯახთან.
კონსოლიდაციისათვის ორიოდ სიტყვის თქმაა საჭირო
და ერთი მორიგებაც, ახლავ შემოგთავაზებთ. იქნებ
შევთანხმდეთ და ისეთი გზა ამოვირჩიოთ, ყველა ჩვენ-
თაგანი რომ ეწიოს თავის საწადელს.

ე რ ი კ ბ რ ა ტ ი. (ისევ ჩართავს) ტემპი!

ბ ა რ ო ნ ი. აქ რომ გაზარდეს, იმ ცრუ გრაფმა სუყველან
თავგზა აუბნია. ახლა გვიანია დამნაშავეის ძებნა. შექმნი-
ლი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი, ვფიქრობ,
იქნება იმ შეცდომის გამოსწორება. ხომ მეთანხმებით?

ე რ ი კ ბ რ ა ტ ი. (ისევ გრამოფონს უტრიალებს) ამ დალოც-
ვილმა ზღვით მგზავრობა ვერ აიტანა, ისე დაგდაგებს და
ბლუკუნებს, თითქოს ასთმა შეეყარაო!

ბ ა რ ო ნ ი. აბა რად გინდათ, რომ მაინცა და მაინც ერიკ
ბრატად იწოდებოდეთ. თქვენი გვარი დღითი დღე ხუნ-
დება. ალბათ ხეირიანად ვერც კი გაგითავისებიათ. ისევ
ადვილად მოხერხდება მისი გამოცვლა, როგორც სამო-
სელის; ოპერაცია უმტკივნეულოდ, თქვენდა სასიკე-
თოდ წარიმართებოდა.

ე რ ი კ ბ რ ა ტ ი. ახლა კი გავასწორე! ამ ნაწარმოებს თუ
იცნობთ — ზანგური სონგია, ვიოლინოსი, ჩასაბერი საკ-
რავების და მომღერლის ზათქი და ზვავი. იქ, ოკეანის
გალმა უნდა მოგასმენინათ! რომ მოვარდება, ფეხებში
დაგივლით ისე, რომ ტერფქვეშ იატაკს ზანზარს და-
აწყებინებთ. თამბაქოთი გაბოლილ რანჩოში კოვბოების
კამპანია — ჯოჯოხეთური სპექტაკლია!

ბ ა რ ო ნ ი. სულ ადვილი იქნება, მით უმეტეს, რომ ირგვლივ
სუყველა კვერს დაგვიკრავს. რაკი არ შემესიტყვეთ,
გულზე მომეშვა.

ერეკ ბრატო. (ახლა სულ ჩაუწყდა ხმა). მომხდარი სკანდალის ნაღდი სურათი მართლაც რომ ძნელი წარმოსადგენია!

ბარონი. თავი მოგვეჭრა: გრაფი ერეკ სტიერნენჰო, მეფის დრაგუნთა პოლკის ლეიტენანტი, ბარონესა ალისას დანიშნული — მაწანწალა გამოდგა. მოდი, ღიმილით ჩავაბაროთ მომხდარი წარსულს.

ერეკ ბრატო. (ჩართავს) უფრო ხმამაღლა!

ბარონი. ამრიგად, ეს ფსევდოგრაფი ჩვენს თვალში უსაშველოდ დაეცა! დარჩა ცარიელი ადგილი და, იგი უმაღვე უნდა შევავსოთ, უნდა წარმოვაჩინოთ ჭეშმარიტი გრაფი ერეკი, ნამდვილი სტიერნენჰო, ნაღდი ლეიტენანტი და ღირსეული საქმრო!

ერეკ ბრატო. უფრო ხმამაღლა!

ბარონი. აბა, წინ რა დაგვიდგება: ის ცრუ ერეკი, თუ ვილაც აკე, ეტყობა საზოგადოებას ხეირანად არც უნახავს — გრაფ ჯეიმსს ეტყობა მართლაც ჰქონდა საფუძველი, მოტაცებული ბავშვი სტიერნენჰოს სახლში რომ ჩაკეტა და ესოდენ მკაცრი ზედამხედველობა დაუწესა. მოტაცებულ ბავშვს აკი სასამართლომ ისე გამოუტანა განაჩენი, თვალით არც კი უნახავს ადამიანი, ვინაც ხვალ სრულწლოვანი გახდება და, კიდევ გაქრება. ალისას იმედი მაქვს. ბარენკრონას ასული გაარიგებს ამ აწეწილ საქმეს!

ერეკ ბრატო. ახლა მთელ ორკესტრს მოვუსმენთ!

ბარონი. მაშასადამე, ეს აპებლოში უნდა გავაქროთ, ჩვენი ხარჯით ვავამგზავროთ ამერიკაში. ზედმეტი ხალხი იქ პოულობს თავშესაფარს.

ერეკ ბრატო. (წამოხტება, ცეკვას მოჰყვება, მღერის) კანზასში მყავს ერთი ქალი.

ბარონი. (შეფიქრიანდება) იქნებ ხუთი წუთით მაინც გამოჩნდეთ ეგ აპარატი?

ერეკ ბრატო. (გრამოფონთან მიდის) კიდევ უფრო, უფრო ხმამაღლა!

ბარონი. როგორ მიკვირს, რომ არად აგდებთ, რაოდენ სერიოზულია შექმნილი ვითარება!

ერიკ ბრაცი. (ცეკვავს და მღერის) ორინოკოში მელო-
დება მე ორი გოგო!

ბარონი. პასუხის გაცემას ფრიად ორიგინალურად არი-
ლებთ თავს.

ერიკ ბრაცი. ერთს მისურვი შევუყვარდი...

ბარონი. ნუთუ არად მიგაჩნიათ ორი კეთილშობილი სახ-
ლის ბედ-იღბალი?

ერიკ ბრაცი. ოჰაიოში ვიცნობ ყოველ ბ...ს.

ბარონი. მიგიხვდით, ბატონო ბრატ! კმარა, თავს ნულარ
შეიწუხებთ და სიტყვას ბანზე ნულარ ააგდებთ. გმად-
ლობთ!

(ციბეს აჰყვება, ზედა კარიდან გადის, ერიკ ბრაცი სა-
ვარძელში ჩაეშვება. გრამოფონი ჩუმდება. ცოტათი აღ-
რე აღისა გამოჩნდება. ეტყობა მათ საუბარს ყურს უგ-
დებდა. ბარონს თავს აარილებს, შემდეგ კისრის ტეხით
ჩამოირბენს კიბეზე).

ალისა. (პირდაპირ მიეჭრება ერიკ ბრატს) მამაჩემმა შეუ-
რაცხმყო, სულ არ ვაპირებ ცოლად გავყვე გადამთიელს,
ჩინეთის იმპერატორიც რომ იყოს; თუ არ მიყვარს —
— არა!

ერიკ ბრაცი. (წამოდგება) არც მიფიქრია აკესათვის
თქვენი წართმევა!

ალისა. არ ვიცი, ვინ მიყვარს, მაგრამ თქვენ მაინც არაფერ
შუაში ხართ!

ერიკ ბრაცი. საკმაოდ უცნაურად მიმართავთ გადამთი-
ელს.

ალისა. სულ ტყუილად გაისარჯეთ მაგ თქვენი ცეკვით, მა-
ინც ყველაფერი მოვისმინე!

ერიკ ბრაცი. ხომ ტაქტიანად დავიძვრინე თავი?

ალისა. აბა უტაქტოდ თქვენ ნაბიჯსაც არ ადგამთ. სულ
ტაქტი, ტაქტი, ტვინი წაიღო ამდენმა ტაქტმა.

(ტირის) მინდა მოგკვდე.

ერიკ ბრაცი. სიყვარულისგან?

ალისა. (ფეხს დააბაკუნებს) არ მიყვარს, არ მსურს მიყ-
ვარდეს! მინდა...

ერიკ ბრაცი. რომ სრულიად გავარიგო არევ-დარევა!

ელისა. ამერიკაში როგორ წავიდე?

ჯორჯ ბრატი. გემით.

ელისა. ძვირი დაჯდება?

ჯორჯ ბრატი. გააჩნია, ვის როგორი პრეტენზია აქვს.

ელისა. უპრეტენზიო გახლავართ!

ჯორჯ ბრატი. მაშინ იაფი.

ელისა. იქ, გაღმა ნხარეს რას ვეწიოთ?

ჯორჯ ბრატი. იქ ფხა უნდა გამოიჩინო.

ელისა. ჯიბეგამოფხეკილი ყმაწვილი კაცი.

ჯორჯ ბრატი. ვინა?

ელისა. აკე.

ჯორჯ ბრატი. ისიც მოკუცებათ?

ელისა. რა თქმა უნდა.

ჯორჯ ბრატი. მამათქვენი თავს ჩამოიხრჩობს!

ელისა. პასიანსის გაშლა შეიძლება საიქიოში?

ჯორჯ ბრატი. არა მკონია.

ელისა. მაშინ ამასაც გადაიტანს. ადამიანმა თუ მოინდომა, იცოცხლებს კიდევ: აი თუნდაც მე — სიცოცხლე მწყურია და ცოცხალი თავით არაფერს დავთმობ, ძუ ვეფხვივით ვიბრძოლებ!

ჯორჯ ბრატი. მაშ მოგილოცავთ თქვენ და თქვენს აკესაც.

ელისა. ლიტონი სიტყვებია. თქვენ, ამერიკის მოქალაქე, ვალდებული ხართ სხვებს დაეხმაროთ. რით შეგიძლიათ თანადგომა?

ჯორჯ ბრატი. სიძნელეთა გადალახვა დაგჭირდებათ.

ელისა. უთუოდ დიდი სიძნელეა, თორემ გარჯად აღარ ეღირობოდა!

ჯორჯ ბრატი. იქნებ აკე გაისარჯოს!

ელისა. არა და არა!

ჯორჯ ბრატი. აბა როგორია ბარონესას შერთვა, როცა კაცი პროლეტარი ხარ.

ელისა. ახლა მე მკითხეთ!

ჯორჯ ბრატი. ძნელია საქმის მოგვარება ხელმოცარულ ხალხთან, არ გამოდის ბიზნესი!

ელისა. ამას თქვენ ეტყვიან?

ერეკ ბრატო. თქვენ გადაეცით, და თუ მოილო მოწყა-
ლება, მაშინ მებორნედ დაგიდგებით.

სლისა. ფული თუ გაქვთ?

ერეკ ბრატო. ხვალ უარს ვიტყვი ბაბუაჩემის მემკვიდრე-
ობაზე, აქეს დავუთმობ. მისი აქ ყოფნის საზღაური ეს
იქნება.

სლისა. შევთანხმდით?

ერეკ ბრატო. შეიკ ჰენდზ!¹

(ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს)

(აღისა უკანა კარიდან გადის. ერეკ ბრატო თვალს გა-
აყოლებს. გრაფი შემოდის მარჯვენა კარიდან)

გრაფი. ბევრი ვეცადე.

ერეკ ბრატო. (შემობრუნდება) რა?

გრაფი. რა ვქნა, თავი ვერ მოვიკალი!

ერეკ ბრატო. გვიანლაა თითზე კბენანი!

გრაფი. ნეტავ რაღა დამრჩენია!

ერეკ ბრატო. მორჩა, გათავდა. ვაჟიშვილი დაგიბრუნდათ.

გრაფი. (სწრაფად) ესე იგი თქვენ ჩემ შვილად უნდა შეგ-
რაცხოთ?

ერეკ ბრატო. ნამდვილი შვილი ვარ!

გრაფი. გაგახსენებთ ამ სიტყვებს!

ერეკ ბრატო. რაც არ უნდა ძრეცხონ და მხეხონ, მაინც
ვაჟი ვიქნები თქვენნი!

(გრაფი შეათვალიერებს მას. ერეკ ბრატო სავარძელზე
მიუთითებს)

გრაფი. რაკი გავერკვიეთ ყოველ წვრილმანში, მოდი ახლა
დავსახოთ, რა ვქნათ.

ერეკ ბრატო. ძლივს მეღირსა ნაღდი სიტყვა ამ სადგუ-
რით გამაბეზრებელ გაღერებაში.

გრაფი. ჩემდათავად ფინანსურ საქმეებს დიდად არ დაგიდევ...

ერეკ ბრატო. ამ ჩვენი შეხვედრის უამს მეტი დარდი
აღარა გაქვთ რა?

გრაფი. რაც აქ მოხდა, საბედისწერო გაკვეთლი გამოდგა
ჩემთვის და ამიტომაც მჭირდება თქვენი ბრაუნინგი

¹ დაქარი ხელი!

ერეკ ბრატო. მე კი ჩინებული ანგარიში ვიცი, ჰკუა მიჭრის, რად მინდა პისტოლეტი!

გრაფი. დედათქვენმა თუ გითხრათ რამე იმ ქონებაზე, ასაკსრულმა რომ უნდა იმემკვიდროთ?

ერეკ ბრატო. ჩვენი ჩამოსვლის მიზანი ეს გახლავთ სწორედ. ხვალ ოცდაერთი წელი შემისრულდება და პაპაჩემის, ლარს ბრატის მემკვიდრე გავხდები.

გრაფი. არ დაგავიწყდეთ, გამაბრიყვეს, და ასე აღმაზრდევინეს აკე!

ერეკ ბრატო. მე ვაღიარებ ჩემს მოადგილეს!

გრაფი. (სწრაფად) და მისი აღზრდის ხარჯებსაც, ალბათ!

ერეკ ბრატო. დიახ, იმ ხარჯებს, რაც გაიღეთ მისი მოვლა-პატრონობისთვის!

გრაფი. დამეხარჯა...

ერეკ ბრატო. დედაჩემმა მითხრა და განმაცვიფრა, — ამხელა თანხა!

გრაფი. გრაფ სტიერნენჰოსს აღზრდას მოხმარდა.

ერეკ ბრატო. იმ ანაბრით ას ბავშვს შეინახავდა კაცი, უპატრონო ბავშვთა ხანაგას. თქვენ კი ერთადერთს გადააგეთ, ისიც ბოგანოს!

გრაფი. რომ არ ვიცოდი?

ერეკ ბრატო. განა ეს ფლანგვას გადავიღებდათ?

გრაფი. ჩვენ ანაბარზე ვსაუბრობდით.

ერეკ ბრატო. (უარის ნიშნად გააქნევს თავს) გვეყოფა!

გრაფი. არა, კაპიტალის თაობაზე ჩვენ საკმაოდ ბევრი გვაქვს სათათბირო.

ერეკ ბრატო. მაინც როგორ დააბანდეთ?

გრაფი. თქვენი, ოკეანის გაღმელთა წარმოდგენით ალბათ უხეიროდ, ჩვენი, აქაურების რწმენით კი — რიგიანად.

ერეკ ბრატო. ფულის კურსი ყველგან ერთნაირად განიზომება, — მოგების კვალად!

გრაფი. მე კი მჯერა: მოგებულნი დარჩები მაშინ, საკუთარი წარმომავლობის საკადრისად თუკი იცხოვრებ!

ერეკ ბრატო. ვისაც ფული აქვს, ის ცხოვრობს!

გრაფი. მოვალე ვიყავ ფუფუნებაში მეცხოვრა, იმგვარად,

გრაფ სტიერნენჰოებს რომ ჩვეოდათ თაობიდან თაობამდე!

ერეკ ბრატო. მერე ვინ დაგიშალათ თქვენს ნებაზე გახარჯათ ფული?

გრაფი. ფული, ჩემგან დახარჯული, არ იყო ჩემი.

ერეკ ბრატო. სულაც არ მაინტერესებს, ვისგან აიღეთ სესხი!

გრაფი. კი არავისგან მისესხია, ავდექი და რაც ხელში მომხვდა, დავაგირავე.

ერეკ ბრატო. (მხრებს აიჩეჩავს).

გრაფი. თქვენი სამკვიდრო!

ერეკ ბრატო. (დააშტერდება).

გრაფი. ჩემს ნამოქმედარს ვერაფრით გავამართლებ. ჩვენს შორის ისე დიდია ზღვარი, რა შეგვათანხმებს. ამოგარჯა იქნებოდა. ფაქტებს მოგახსენებთ მხოლოდ: სტიერნენჰოს სასახლე დანგრევის პირას იყო მისული, საგვარეულო სასახლე ჩვენი მოდგმისა; ბოლოს და ბოლოს საჭირო გახდა მისი რესტავრაცია, სახურავი ლამის თავზე გვექცეოდა. ახლა კი ეს შენობა, ბურჯი გვარის ტრადიციების, ისევ გაუძლებს საუკუნეებს!

ერეკ ბრატო. (წამოიშარბება) პროცენტები და კაპიტალი — მთელ ქალაქს ააშენებდა კაცი ამ უკაცრიელ სკივრის მაგიერ!

გრაფი. ბინადართ რატომ უგულვებელყოფთ. მე ხომ ძველებური ბრწყინვალეებით აღვადგინე მეჯლისები სტიერნენჰოს სასახლეში. ხალხი ისევ ალაპარაკდა, ჩვენი დიდება მისწვდა თვით მეფის ყურს და შედეგად გამოიღო: ჩემგანთ გამფრთხალი წევრნი გვარისა კვლავ მოგვეახლნენ, განგველო კარი დრაგუნთა პოლკის, უწარჩინებულესმა ბარონესამ ხელი აღუთქვა სტიერნენჰოთაგანს. მაგრამ ყველაფერს გადააჭარბა ნაყოფმა, მდაბიო აქეპებლომის ამ სასახლეში ყოფნის შედეგად მოწვენილმა: თხემით ტერფამდე კავალერმა საათის უკან მოაწერა ხელი ქაღალდს, რისი ძალითაც ეს თავისი ვითომ სამკვიდრო ჩემს მეგაღვებს ჩააბარა!

ერეკ ბრატო. (ხელს ჩაიყოფს ჭიბეში, ბრაუნინგს ამო-
იღებს, მაგიდაზე გააცურებს, მერე ისევ აიღებს და ჭი-
ბეში ჩაიღებს). ტყვია მენახება!

ერეკ ბრატო. წელან ხომ გთხოვეთ ეს სამსახური, რად დააყო-
ნეთ? ახლა თქვენს სიტყვას შეგახსენებთ. დამიბტვი-
ცეთ, რომ ხართ ჩემი შვილი!

ერეკ ბრატო. (დააცქერდება და მერე თავშეუკავებლად
იციინის)

ესეც მაპილო! ვის გადაჭყრია დედაჩემი ეს თაღლითი,
ყოველ წინკარში რომ გაძვრება, ოღონდ სალონში შერ-
გოს თავი. ზარმაცა და თავხედა, თანაც მბდალი, რო-
გორც ყარსალი!

ერეკ ბრატო. (თავმოდრეკილად) მითხარით მბოლოდ.

ერეკ ბრატო. ეს რა სახლი აგიგიათ: საძირკველი დაშა-
ლი აქვს, კედლები და კოჭები-მორყეული. ამისთვის
მოჰპარეთ ვაჟიშვილს ფული? ახლა მასვე შესთხოვთ
შეწყალებას! კარგი, მამა, ჩემი სამკვიდრო აკესათვის
დამითმია.

ერეკ ბრატო. (გახარებული) მაშ ასე ქალაღი ძალაში რჩება?

ერეკ ბრატო. — დიას, თუ აქე აპებლოში კვლავ აჩუქებს
გრაფ სტეინენჰოს თავის ქონებას, რაც მე დავუთმე!

ერეკ ბრატო. სადაა აქე?

ერეკ ბრატო. თუ მკვდარი არაა...

ერეკ ბრატო. აქემ იცოცხლოს, ვიდრე ჭირისგან არ დამიბსნიმ,
თორემ ლინდსტრემი გამაკოტრებს!

ერეკ ბრატო. ეს ლინდსტრემია, ვისი სახელიმ ხსენება-
ზეც სასწაულებრივ იხსნებოდა ყოველი კარიზი!

ერეკ ბრატო. ო, ეგ მეგახზე არამზადა!

ერეკ ბრატო. შენ უკეთესი არ ყოფილხარ, მამი, ჟღერო
საწიში კი — ნამდვილად!

(უკანა კარიდან შემოდის აქე)

აქე. (ერეკს) ბატონო ბრატ, ჩემმა დანიშნულმა შემატყობი-
ნა თქვენი საჩუქრის თაობაზე. ვიღებ და მაღლობან
გწირავთ!

ერეკ ბრატო. (ხელს ჩამოართმევს) ვფიქრობ გამოგადგო-
ბათ!

- აკე. შეგიძლიათ ამერიკაში შეამოწმოთ, მართლაც გამოგ
 ვადგება თუ არა!
- ერიკ ბრატო. მუდამ მზადა ვარ მეგობრული სამსახურ-
 რისათვის!
- აკე. ნაღდ ფულს მირჩევნია!
- გრაფი. (ლამის გამწყრალი) თქვენ რაღა გინდათ? აკი მ-
 იღეთ ვირთევზას ღუქანი!
- აკე. (შკვახედ) შეკვეთებისთვის მიმართეთ ქალბატონ აპე-
 ლომს!
- გრაფი. ერთი წუთით მოითმინეთ, ყმაწვილო კაცო.
- აკე. განა ჩვენი ანგარიში გასწორებული არ არის?
- გრაფი. თქვენ ხელი მოაწერეთ ქალაქს, რომელსაც ძალა
 არა ჰქონია.
- აკე. თქვენ მაიძულეთ მეჩუქებინა ის, რაც თურმე არ მე-
 კუთვნოდა!
- გრაფი. ახლა ხომ გეკუთვნით!
- აკე. დიახ, ჩემი და ალისას მომავალი!
- გრაფი. ხარჯი გავიდე.
- აკე. ვინ გადალებდათ?
- გრაფი. ამ სახლმა შეგქმნათ იმად, რაც დღესა ხართ. მე
 ვარ თქვენი ბედის შუამავალი, ვალს გადახდა უნდა!
- აკე. (ერიკ ბრატს შეხედავს, თითქოს რაღაცას ეკითხებაო).
- ერიკ ბრატო. გიჩივლოს მამამ სასამართლოში.
- აკე (გრაფს) ველი საჩივარს!
 (უკანა კარით გადის)
 (გრაფი გაშეშებული შესცქერის ერიკ ბრატს)
 (გრაფის ქალი ზევიდან ხმაურით ჩამოივლის კიბეს)
- გრაფის ქალი. (ჩამოვიდა) ალისა გაქრა თავისი ოთახი-
 დან!
 არაქათგამოლეულ ბარონს ჩასძინებია, ამიტომ თავად
 ვიკისრე ქალიშვილის მეურვეობა. ალისა ამ შოკს ვერ
 გადაიტანს! დიახ, ჯეიმს, ეგებ მოძებნო, სად გაქრა
 ქალი?
- გრაფი. მე, მე მოვძებნი (ბარბაცით გადის მარჯვენა კარი-
 დან)

გრაფის ქალი. (ეროკ ბრატს მიმართავს) იქნებ თქვენც მოიკრიბოთ მხნეობა და გამოარკვიოთ, ბარონესა სად იმყოფება!

ეროკ ბრათი. ამაოდ გაირჩებით, ალისა თავის აკესთანაა!

გრაფის ქალი. ალისა?... აკე?..

ეროკ ბრათი. ქალ-ვაჟი ხომ დანიშნულია!

გრაფის ქალი. ალისა და აპებლომი?

ეროკ ბრათი. მხოლოდ სახელი შეეცვალა, კაცი აკი იგივე დარჩა!

გრაფის ქალი. მუხლი მეკვეთება!..

ეროკ ბრათი. (სავარძელს მიუჩოჩებს) გვიჯობს ამ წყვილს ახლა ხელი არ შევუშალოთ.

გრაფის ქალი. (კვნესის) ნეტავ პოლიცია გამომეძახა!..

ეროკ ბრათი. გრაფ ჯეიმსს გული გადაუტრიალდება.

გრაფის ქალი. ზედი არ წყალობს. ისე კი ყოველ თავ-ზედს მიეზღვება ხოლმე საკადრისი.

ეროკ ბრათი ახია გრაფზე.

გრაფის ქალი. ქორწინებით დაიწყო.

ეროკ ბრათი. და ქორწინებით ეღება ბოლო. მაგრამ ცოდო-ბრალი გასწორდება.

გრაფის ქალი. ჯერ კიდევ არა, არა, ძვირფასო. უფროსებს უნდა დაუჯეროთ. გრაფის უთანაბრო ქორწინება ბავშვურ გართობას მოჰგავს ამ თავლაფდასხმასთან შედარებით!

ეროკ ბრათი. მიმაჩნია, რომ მამაჩემმა მშვენიერი ცოლი შეირთო!

გრაფის ქალი. უკვე გცნოთ შვილად?

ეროკ ბრათი. თუკი ბატონი აპებლომი მამაჩემის ვალებს გაისტუმრებს, მეც კვერს დავუკრავ. თორემ ძალიან ცოდოა კაცი!

გრაფის ქალი (შემცბარი) ეროკი ხომ ხვალ გახდება სააკვიდროს უფალი?!

ეროკ ბრათი. ეროკი გაფრინდა, გასკდა საპნის ბუშტი!

გრაფის ქალი. ახლა თქვენა ხართ მემკვიდრე?

ეროკ ბრათი. რა ვიმემკვიდრო, გრაფმა აკი ყველაფერი გაანიავა!

გრაფის ქალი. დარბაზი ირყევა!..

ერიკ ბრატი. და საცაა მთლად დაინგრევა!

გრაფის ქალი. ჩემს თვალთა წინ მტვერი ჩიალებს!..

ერიკ ბრატი. ზათქით და ზვავით ცამტვერდება ერთი
საუფლო; მოდით საცოდავი ნაშთი მაინც დავიხსნათ!

გრაფის ქალი. თქვენ ძალგიძთ იხსნათ, თუ რაიმეს ხსნ
შეიძლება, სტიერნენჰოს გვარი, ლეიტენანტი და...?

ერიკ ბრატი. უსაზმნოდ მიძიმე ტვირთი გამოვა!

გრაფის ქალი. არ გინდათ, რომ აკე მაინც?!.

ერიკ ბრატი. თქვენი შეწევნით ბედნიერად დავაქორწი
ნო!

გრაფის ქალი. ჩემი?

ერიკ ბრატი. მე გავისტუმრებ თქვენი ძმისწულის ვა
ლებს. ოღონდ დაითანხმეთ ბარონი, რომ აკეს მიათხო
ვოს ქალიშვილი!

გრაფის ქალი. ვინ მოგცათ ამდენი ფული?

ერიკ ბრატი. (გამოწერს ჩეკს) გრაფ ჯეიძს, ბარონ ბა
რენკრონასთან მოლაპარაკების შემდეგ!

(გრაფის ქალი აკანკალებული ხელით გამოართმევს ჩეკს
წამოდგება, ნელა აუყვება კიბეს, ზემო კარიდან გადის)
(კარინი შემოდის მარცხენა კარიდან, ქარისაგან თმავა.
ჩეჩილი).

ერიკ ბრატი. დედი, ჰაერზე გაისეირნე?

კარინი. შვილო, ამ ხრიოკს გამრჯე კაცი ააყვავებდა. აქ კი
თავს არავინ იწუხებს. ფული კი ჰქონდათ საკმარისი!

ერიკ ბრატი. შენობა კი შეულამაზებიათ!

კარინი. ათობით მილი ყამირი მიწის გატეხა შეიძლებოდა
სოფლებს გავაშენებდი, გლებებს დავასახლებდი. ახლა
სარეველათია გადავლილი უსიცოცხლო ყანა და მდელი

ერიკ ბრატი. ხარობს რაიმე?

კარინი. კურდღლისცოცხასა და ღორისქადას გარდა...

ერიკ ბრატი. ორი ადამიანი: აკე და ალისა!

კარინი. შერჩნენ ერთმანეთს?

ერიკ ბრატი. საქმე მოგვარდა. დედი!

კარინი. ბარონი?

ერიკ ბრატი. ბარონმა ენა ჩაიგდო.

ქარინი. მზითევი?
ერეკ ბრატო. არცერთს არა სჭირდება რა.

ქარინი. რატომ?

ერეკ ბრატო. (შეხედავს დედას, რალაცის თქმას დააპირებს, პირზე კოცნის) ჩემს მაგიერ აქე გახდება ხვალ მემკვიდრე!

ქარინი. ვინ იქნებოდა უკეთესი მემკვიდრე, თუ არა ეს ბოგანოს ვაჟი!

(უკანა კარიდან შემოდის ქალბატონი აპებლომი)

ქალბატონი აპებლომი. ბიჭმა ამერიკაში წასვლა გადაწყვიტა და მე ვირთევზას ამარა მტოვებს. ფირმა აპებლომი და ვაჟიშვილი უდღეური გამოდგა. გამთბარი ბუდე ცარიელი მრჩება, და ჩიტი მიფრინავს ლაჟვარდ ცაში.

ქარინი. ნუ გაკიცხავთ.

ქალბატონი აპებლომი. ჩემი ბუდე თუ ეპატარავათ თვალში! განა შვილი იმიტომ ვშობე, რომ ჩემს ჭკუაზე გამომეწვრთნა! ცრემლი სიხარულით შემეცვლება, ჩემზე მეტს თუკი შეიძლებს. გუშინ მაწანწალა იყო, დღეს გრაფია, ხვალ გახდება ამერიკელი. ბატონებო, თავგზიანობა კაცს თან დაჰყვება!

ქარინი. კაცს ჭეშმარიტად თან დაჰყვება, ქალბატონო აპებლომი და თქვენი ვაჟიშვილი სულაც არაა გამონაკლისი.

ქალბატონი აპებლომი. ასე რომ არ იყოს, ქვეყანა გადაბრუნდებოდა. იმედია მამაზეციერი არ გაგვწირავს, ჰოდა საქმეს თავად მოვეკიდებით, აი რეცეპტი სამოთხისა — გამოჰკვებეთ ნაშიერი და ცოტა მოეფერეთ, დედილო აპებლომი უფასოდ გთავაზობთ ამ რეცეპტს! (უკანა კარიდან შემოდის აქე და ალისა).

ალისა. (ქალბატონ აპებლომს მიმართავს) თუ შეგიძლია დღეს შეგვიფარო?

აქე. ალისა და მე ახლავე მივდივართ აქედან.

ქალბატონი აპებლომი. შვილებისათვის მოიძებნება კუთხე ჩემს სახლში!

ალისა. (კარინს) თქვენი მანქანის იმედი გვქონდეს?

კარინი. მანქანაში ხუთი კაცის ადგილია.

აკე. ხუთნი ვიქნებით?

ერიკ ბრატი. და ბატერფლას გემბანზე ცეკვა-თამაში გავაჩაღოთ.

აკე. ბატერფლას რაღაა?

ერიკ ბრატი. ბიძია კნუტის თეთრი იასტა, რაც ნახევარ კანზასთან ერთად ვიმემკვიდრე!

აკე. (ზარს რეკავს. ლაქია შემოდის მარცხენა კარიდან) ქალბატონი ალისასა და ჩემი ბარგი წაიღეთ!

კარინი. ხომალდის ქიმზე დაგხვდებათ ყველაფერი, რაც დაგჭირდებათ, ზუსტად ისევე, როგორც ჩემი გაქცევის უამს, ოციოდ წლის წინ! (კიბიდან ჩამოდიან გრაფის ქალი, ბარონი და მისს გროუვი).

გრაფის ქალი. (ჩამოვა და ბარონს მიმართავს) ჯეიმსს უნდა მოველაპარაკო. (მისს გროუვს მიმართავს ხმადაბლა) თვალყური ადევნეთ ბარონს! (გაღის მარჯვენა კარიდან. ბარონი ახლავს შენიშნავს სხვებს. მისს გროუვი გაშე-

შეხუთი დგას და მომცრო წიგნს ჩაჰკირკიტებს)

ბარონი. (ალისას მიუახლოვდება) გრაფის ქალმა სტიერ-ნენჰომ შემატყობინა შენი ურყევი ნება-სურვილი. არ მსურს განვაგო დღევანდელი შენი ნაბიჯი, ესე, ვით აღრეც არ მიცდია არასოდეს. შენთვის მუდამ კარგი მსურდა და ახლაც ვემორჩილები შენს არჩევანს.

ალისა. (წყნარად ეტყვის) გმადლობთ, მამი.

ბარონი. თქვენი შეუღლება რომ დამელოცა, საკუთარ მრწამსზე უნდა მეთქვა უარი. ამ საქმეში ჩემი ხელი არ იქნება, შორს ჩემგან. ამიტომაც ხელს ვიღებ შენზე, ჰო-და გართმევ მემკვიდრეობას. (მისს გროუვს მიმართავს) ჩაის მოგვართმევენ?

ალისა. (ხმამალლა ქალბატონ აპებლომს) წავიდეთ, დედი. (გრაფის ქალი და გრაფი შემოდიან მარცხენა კარიდან. გრაფი სახეგაბრწყინებულია)

გრაფის ქალი. ძვირფასო ბარონო (ხელს ჩამოართმევს. შემდეგ გრაფს მიუბრუნდება, რომელიც. გახარებული; ხელით ანიშნებს ერიკზე) დამშვიდდი, ჯეიმს.

დარეკე, ჩი მოგვართვან, ჯეიმს!
გრეფი. (წარს დარეკავს. ლაქია მარცხენა კარიდან შემოდის. ხელში ტანსაცმელი უჭირავს)

გრეფი. (მიხვდება) მიემგზავრებით? (კარინს) გაქცევასა ჰგავს (ალისასა და აკეს გადახედავს) ამალითურთ?
ქალბატონი აპებლომი. (თითქმის დარცხვენით) სომხედავთ, მოისურვებს შვილებმა ცოტა ხანს მაინც დაჰყონ დედასთან!

კარინი. (მიმართავს გრაფის ქალს) ამ არგუმენტმა გაგვაჩუმა. დედის უფლება უდიდესი — ეს არის შვილი! მშვენივრად გვითხარით წელან; ის სიტყვები ჩემთვის გასმა, ვით ბუკის ცემა, მეორედ მოსვლის თანამდევი. მაგრამ მე უფრო უბრალოდ მოგახსენებთ: დედა ისაა, ვინც თავის შვილს ემსახურება. ქალბატონი აპებლომი ოცო წელაწადი დუბდა, აკესთვის ხელი რომ არ შეეშალა; მე ოცო წელაწადი გადავიკარგე, ეოიკი რომ დაშენარჩუნებინა. ჭეშმარიტი, სისხლხორცეული არისტოკრატი იგია, ვისაც ნიადაგ ხელეწიფება თავდადება. (გრაფს) თქვენი დახმარება განუზომელია, ჯეიმს. ეს კია — თქვენც დამარცხდით და თქვენი თანამოზიარენიც! (აკეს გაჰხედავს) მაგრამ შედეგმა ყოველი ჩრდილი წარხოცა. მადლობელი ვარ თქვენი. ჯეიმს, თქვენ გულმოდგინეთ იმუშავეთ ადამიანის მოდგმისათვის. კაცმა თუ მოინდომა, წინ ვერაფერი დაუდგება. როგორც ქალბატონმა აპებლომმა მოგახსენათ — გამოკვებეთ ნაშიერი, ცოტაც მოეფერეთ და სამოთხე დაივანებს დედამიწაზე! (წამით სიჩუმე ჩამოვარდება).

გრეფი. (ტაშს შემოჰკრავს) ახლა დედილო აპებლომს ვესტუმროთ!
(ალისასა და აკეს ლაბადები ჩაუცვამთ. ლაქიას კარინისა და ერიკისათვისაც მოაქვს ლაბადები).

გრეფი. (გრამოფონს შენიშნავს მაგიდაზე) მუსიკის ყუთი.
გრეფი. თქვენთვის მიჩუქნია, მამი. აახშიახეთ, ტრამალის ცეკვა როცა მოგესურვებათ!
(წამით უბრად დგანან, შემდეგ ხუთნი გადიან. დანარჩენები ერთმანეთს შეაჩერდებიან. ლაქია შემოაგორებს

ურევას, ზედ ჩაის ფინჯნები დგას. შუაში ყვითელი მიხაკების თაიგულია. ოთხნი დასხდებიან)

გრაფის ქალი. საოცარია, არისტოკრატთა მოდგმის კატეხიზმო აქემ რომ შეგვიდგინა. ეტყობა ყოველ პროლეტარს მოსდგამს რაღაცა გრაფისეული და ყოველ გრაფს — პროლეტარული. მე კი დავბერდი და ამ ბოლშევიზმისა აღარაფერი გამეგება.

ბართნი. ყვითელი მიხაკები.

გრაფი. და შაქრის ნახევარი ნატები ჩაიში. (გრაფის ქალს შაქარს ჩაუგდებს ჩაის ფინჯანში).